ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

СССР

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 151 (19892) ოთხშაბათი, 1 ივლისი, 1987 წელი ◆ ფასი 3 კაპ.

ქირეულ გარდაქმნათა პარტიული კურსი

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია

ეროვნებათა საბჭოში

29 ივნისს 16 საათზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომათა დარბაზში დაიწყო ეროვნებათა საბჭოს პირველი სხდომა.

დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ა. ნ. იაკოვლევს, ვ. ა. ნიკონოვს, ვ. მ. ჩებრიკოვს, დ. ტ. იაზოვს, ა. პ. ბირიუკოვს, ა. თ. დობრინინს.**

ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილებათა შემოწმების შესახებ სამანდატო კომისიის მოხსენების გამო მიღებულია შესაბამისი დადგენილება. შეტანილია ცვლილებები პალატის ზოგიერთი მუდმივი კომისიის შემადგენლობაში.

შემდეგ ეროვნებათა საბჭოში დაიწყო კამათი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნისადმი მიძღვნილი მოხსენების გამო.

ადამიანებს, თქვა ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **მ. ვ. კოვალიოვმა,** განუმტკიცდათ რწმენა, რომ შეუქცევადია დაწყებული ცვლილებები, და ეს გავლენას ახდენს მათს დამოკიდებულებაზე შრომისადმი, საბოლოო ანგარიშით კი, ეკონომიკურ შედეგებზე.

მაგრამ ორატორის აზრით, დღევანდელი მოთხოვნების პოზიციებიდან ეს არ არის საკმარისი. საშეურნეო პროცესებს ჯერ კიდევ მნიშვნელოვანწილად ახასიათებს მოლიანი ხარჯვითი მექანიზმი. ეს ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რაოდენ საჭიროა რადიკალური გარდაქმნები ეკონომიკის მართვაში.

სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრმა დეპუტატმა **ო. გ. ანფიმოვმა** ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ყალიბდება დარგში მეურნეობრიობის ხარჯსაფინანსოდგადო მექანიზმი, როგორ მუშავდება უმაღლესი ხარისხის ნაკეთობათა წარმოების მატერიალური სტიმულირების მეთოდები. დეპუტატმა აღნიშნა, რომ მეცნიერთა ნამუშევრების დაუნერგავად დღეს ვერ მივაღწევთ ტექნოლოგიისა და ნაწარმის ხარისხის ჯეროვან დონეს.

მწვავედ და თვითკრიტიკულად ილაპარაკა ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ი. ხაიევმა** რესპუბლიკის ეკონომიკის საჭირბოროტო პრობლემების შესახებ. სიღრმული რეზერვების ათვისება, ხაზი გაუსვა მან, ძალზე ნელა მიმდინარეობს. ტაჯიკეთის მშრომელებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა მუშაობა შეესაბამებოდეს თანამედროვე მოთხოვნებს.

რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა სწრაფად მზარდი შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ზრდა, თქვა თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, დეპუტატმა **ს. ა. ნიაზოვმა.** თურქმენეთში ხორციელდება ღონისძიებანი მოსახლეობის დასაქმების გასაზრდელად. მაგრამ ეს ღონისძიებანი აშკარად არ არის საკმარისი და ყველა პრობლემას ვერ სწვდება. ორატორმა საკავშირო სამინისტროებს შესთავაზა მაქსიმალურად გამოიყენონ სხვა სამეშაოებისაგან მოცლილი წარმოების მუშაკები ასამოქმედებელ ობიექტებზე.

ტალინის ვაჭრობის სახლის გამყიდველმა დეპუტატმა **ვ. ე. სიიტანმა** თქვა, რომ მარტო ტალინის საზოგადოებრივი კვების გაერთიანების სამეურნეოანგარიშიანმა ბრიგადებმა მოკლე ვადაში ოცი პროცენტით გაზარდეს პროდუქციის გამოშვება, რომელზეც მოსახლეობის გადიდებული მოთხოვნაა. დეპუტატმა აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო თამამად გაბაუქმონ ხოლმე მმართველობის ზედმეტი რგოლები.

საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა დეპუტატმა **კ. ს. ტურისოვმა** კმაყოფილებით დაადასტურა, რომ დემოკრატიზაცია, რომელმაც ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარე მოიცვა, კეთილნაყოფიერ გავლენას იხდენს საბჭოთა პროფკავშირების საქმიანობაზე.

პროფკავშირების ამოცანაა, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, იყვნენ გარდაქმნის აქტიური გამტარებლები, ყოველნაირად დაეცვან და განავითარონ საწარმოთა თვითმმართველობის პრინციპები და დემოკრატიული საფუძვლები, ხელი შეუწყონ შრომითი კოლექტივების საბჭოების ჩამოყალიბებას.

კანაკერის ალუმინის ქარხნის მთავარმა ტექნოლოგმა დეპუტატმა **ლ. ა. ნიმონიანმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამინისტროები უნდა გაათავისუფლონ შრომითი კოლექტივების საქმეებში ჩარევისაგან. მათი ურთიერთობა სამეურნეო-ორგანიზაციებრივ საფუძველზე უნდა გადაიყვანონ.

მოლდავეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **გ. ი. ერემეევ**ი გულისტკივილით თქვა, რომ მთელ რიგ გაერთიანებათა შექმნისას არ ითვალისწინებენ წარმოების სპეციფიკას. მან აღნიშნა, რომ ასეთ დროს ხშირად ცდილობენ ზოგიერთთა უხეირო მუშაობა სხვების წარმატებული მუშაობით შენიღბონ. ზოგიერთი საკავშირო სამინისტრო თავს არიდებს შრომითი კოლექტივების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მწვავე პრობლემების გადაჭრას.

თავისი ქალაქის მაგალითით გააშუქა გარდაქმნის პრაქტიკული შედეგები აზერბაიჯანის კომპარტიის კიროვაბადის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **რ. ა. ბაგირლიმ.** ორატორის აზრით, საკმაოდ ეფექტიანად არ მოქმედებს ზოგიერთი საკავშირო სამინისტრო.

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს წინადადებებს მოიწონონ დოკუმენტები სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნის შესახებ.

ამით ეროვნებათა საბჭოს სხდომა დამთავრდა.

• • •

ქვეყანაში მიმდინარე განახლების პროცესი სულ უფრო ფართო წრის პრობლემებს, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ახალ შრეებს მოიცავს. გარდაქმნა, უწინარეს ყოვლისა, იმას ემსახურება, რომ საზოგადოებრიობის განვითარებას დაჩქარების მძლავრი იმპულსი მიანიჭოს. მისი მიზანია საზოგადოების ახალი თვისებრივი მდგომარეობის მიღწევა.

საბჭოთა ადამიანები მტკიცედ უჭერენ მხარს იმას, რომ სწრაფად გადაწყდეს მომწიფებული პრობლემები, რეალობა იქცეს პარტიის სტრატეგიული გეგმები. ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროს ძირეულ გარდაქმნაში მშრომელთა აქტიური, ფართო და გაბედული მონაწილეობა სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის ძირითადი საკითხი გახდა. 30 ივნისს მან მუშაობა განაგრძო კრემლში. ხალხის რჩეულნი შეიკრიბნენ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მეორე გაერთიანებული სხდომაზე.

დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ **მ. ს. გორბაჩოვს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ა. ნ. იაკოვლევს, ი. კ. ლიგაჩოვს, ვ. პ. ნიკონოვს, ნ. ი. რიჟკოვს, ნ. ნ. სლიუნკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ვ. მ. ჩებრიკოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ბ. ნ. ელცინს, დ. ტ. იაზოვს, ი. ფ. სოლოვიოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. პ. ბირიუკოვს, ა. თ. დობრინინს, ა. ი. ლუკიანოვს, ვ. ა. მედვედევს, გ. პ. რაზუმოვსკის, ი. ვ. კაპიტონოვს.**

ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ე. ვოსმა** წაიკითხა შეკითხვები, რომლებიც შემოიტანეს დეპუტატებმა ნ. ი. ვედერნიკოვმა, ა. ს. გერკუნმა, ვ. ა. ბახანცოვამ, ა. ა. დოდონოვმა, ვ. ა. ლებედევამ, რ. ვ. უსვიდიატემ, ა. უ. იუნუსოვმა. იმასთან დაკავშირებით, რომ ეს შეკითხვები სსრ კავშირის მთავრობის საქმიანობას ეხება, დეპუტატები იღებენ გადაწყვეტილებას, გადასცენ იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რათა მათზე პასუხი გაეცეს სესიის დროს.

პალატათა ცალ-ცალკე სხდომებზე დამთავრდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნის საკითხის განხილვა.

პალატების მუდმივი კომისიების წინადადებათა შესაბამისად, ამ საკითხის გამო მომზადებულ დოკუმენტებში შეტანილია შესწორებები.

დეპუტატები იღებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნის შესახებ.

პალატებში ცალ-ცალკე კენჭისყრით იღებენ კანონს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, რომელიც იმოქმედებს 1988 წლის 1 იანვრიდან.

იღებენ აგრეთვე დადგენილებას სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის ამოქმედების წესის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაევალა განიხილოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც გამოთქვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნის საკითხის განხილვისას, და განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი.

(დასასრული მე-3 გვ.)

მ. ს. გორბაჩოვისა და ხ. პერეს დე კუელიარის შეხვედრა

შეხვედრა ხ. პერეს დე კუელიართან. (საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო).

29 ივნისს მ. ს. გორბაჩოვი კრემლში შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს დე კუელიარს.

მიესალმა რა მას, მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა, თუ რა უცვლელია საბჭოთა კავშირის პატივისცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობისადმი. მან ბევრი რამ გააკეთა წარსულში და მისი როლი კვლავაც გაიზრდება. აბსოლუტურად მიუღებელია სპეკულაციური შეფასებანი, თითქოს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დაქვეითებას განიცდიდეს, კარგავდეს სახეს.

საქმე სულ სხვაა. განვლილი 40 წლის მანძილზე შეიცვალა მსოფლიოს სიტუაცია. საერთაშორისო ასპარეზზე გამოვიდა ასზე მეტი ახალი სახელმწიფო. მსოფლიო აღსავსეა ინტერესებით, და მათი ბალანსის პოვნა ამოცანათა ამოცანაა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელსაც აქვს დიდი გამოცდილება — წარმატებულიც და წარუმატებელიც — ამისათვის ყველაზე შესაფერისი ორგანოა. ხოლო მრავალფეროვანი ინტერესების ბალანსის მიღწევლად ვერ იქნება სტაბილურობა საერთაშორისო ურთიერთობაშიც.

ახალი სიტუაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კარსაც უკაკუნებს და იგი, ბუნებრივია, ეძებს თავის თვისებრივად ახალ როლს, თუმცა ეს ძნელი საქმეა. წავიდა ის დრო, როცა შეიძლებოდა მსოფლიო ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ინტერესებს დაქვემდებარებოდა. ახლა, პატარა ქვეყანასაც კი რაიმე რომ შეემთხვეს, ყველანი რეაგირებენ. და უკვე ვერაფერს ვეღარ მივაღწევთ, თუ არ ვცანით თითოეულის არჩევნის, დამოუკიდებლობის, თავისი რესურსებით დამოუკიდებელი სარგებლობისა და საერთაშორისო საქმეებში მონაწილეობის უფლება.

ეს დასკვნა ორგანულად შეერწყა კონცეფციას, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხელმძღვანელობამ საფუძვლიანად გაიაზრეს და უკვე ორი წელია ცდილობენ გადაატანონ პოლიტიკაში. ყველაფერი ვერ შევძელთ, მაგრამ ვხედავთ, რომ იგი სულ უფრო მეტად ესმით და რეზონანსიც აქვს მსოფლიოში, დარწმუნებული ვართ, რომ სწორ კურსს დავადექით და შეუპოვრად ვიარეთ ამ გზით.

მ. ს. გორბაჩოვი დაეთანხმა თანამოსაუბრის იმ აზრს, რომ დიდ სახელმწიფოთა ხელმძღვანელების მოვალეობაში შედის მსოფლიოს ახალი ატმოსფეროს შექმნა და დაიმოწმა საყოველთაო უშიშროების კონცეფცია, რომელიც სკკ XXVII ყრილობამ წამოაყენა და რომელიც შეიცავს არა მარტო სამხედრო-პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ, ეკოლოგიურ ასპექტსაც. მან გაიხსენა 1986 წლის 15 იანვრის უბრძოო მსოფლიოს პროგრამა, რომელიც იმის ღრმა ანალიზის, გაგების შედეგია, რომ მსოფლიო მოქანცა კატასტროფის განუწყვეტელმა საფრთხემ, კონფრონტაციამ და სჯირდება საყრდენი წერტილი იმისათვის, რომ სხეში სიტუაციიდან გამოსვლის იმედი ჰქონდეს. ამ პროგრამაში განვსაზღვრეთ პერსპექტივა. იგი შეიცავს გრძელვადიან მიზანსაც, მისკენ წინსვლის ეტაპებსაც, საშუალოდ დაშორებულ და უახლოეს მიზნებსაც. შესაბამისად კონკრეტულ ინიციატივებსაც ვიჩენდით და თანამშრომლობას გთავაზობდით ყველას.

პარტნიორებს სერიოზული კომპრომისები შევთავაზეთ და არცთუ ცოტა ზანსი მივეცეთ, ეს კი მხოლოდ იმის დასტურია, რომ ჩვენ პოლიტიკობანას არ ვთამაშობთ, აქტიურად ემოქმედებთ არა იმიტომ, რომ ვინმეს თავი მოვალო წოსთ ან მივიღოთ პროპაგანდისტული მოგება, არამედ ვერთგულობთ ჩვენს მშვიდობისმოყვარულ გეზს, გვესმის, რომ დრო აღარ ითმენს, და ვიღაცამ საქმით უნდა გვიჩვენოს მაგალითი.

ისიც გვესმის, რომ, რაც უფრო მკაფიოდ იკვეთება შესაძლო შეთანხმებანი, მაგალითად, მოქმედების საშუალო სიშორისა და ქიმიური იარაღის შესახებ, მით უფრო მეტ წინააღმდეგობას იჩენენ მილიტარისტული ჯგუფები. მაგრამ ეს უკვე პოლიტიკოსთა საზრუნავია — დაძლიონ იგი. რაც შეეხება ეკონომიკას, ხალხის ინტერესებს, მრეწველობაში სამხედრო ელემენტის დიქტატისაგან განთავისუფლება არა მარტო მისაღწევი, არამედ სასიკეთო საქმეც არის.

თანამოსაუბრენი შეთანხმდნენ, რომ მეცნიერება ახლა ფეხს იკიდებს პოლიტიკაში არა მარტო სამხედრო ტექნიკის მეშვეობით, არამედ შეფიერიანებულ მეცნიერებები სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნის შესახებ.

ამით ეროვნებათა საბჭოს სხდომა დამთავრდა.

• • •

ქვეყანაში მიმდინარე განახლების პროცესი სულ უფრო ფართო წრის პრობლემებს, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ახალ შრეებს მოიცავს. გარდაქმნა, უწინარეს ყოვლისა, იმას ემსახურება, რომ საზოგადოებრიობის განვითარებას დაჩქარების მძლავრი იმპულსი მიანიჭოს. მისი მიზანია საზოგადოების ახალი თვისებრივი მდგომარეობის მიღწევა.

საბჭოთა ადამიანები მტკიცედ უჭერენ მხარს იმას, რომ სწრაფად გადაწყდეს მომწიფებული პრობლემები, რეალობა იქცეს პარტიის სტრატეგიული გეგმები. ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროს ძირეულ გარდაქმნაში მშრომელთა აქტიური, ფართო და გაბედული მონაწილეობა სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის ძირითადი საკითხი გახდა. 30 ივნისს მან მუშაობა განაგრძო კრემლში. ხალხის რჩეულნი შეიკრიბნენ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მეორე გაერთიანებული სხდომაზე.

დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ **მ. ს. გორბაჩოვს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ა. ნ. იაკოვლევს, ი. კ. ლიგაჩოვს, ვ. პ. ნიკონოვს, ნ. ი. რიჟკოვს, ნ. ნ. სლიუნკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ვ. მ. ჩებრიკოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ბ. ნ. ელცინს, დ. ტ. იაზოვს, ი. ფ. სოლოვიოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. პ. ბირიუკოვს, ა. თ. დობრინინს, ა. ი. ლუკიანოვს, ვ. ა. მედვედევს, გ. პ. რაზუმოვსკის, ი. ვ. კაპიტონოვს.**

ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ე. ვოსმა** წაიკითხა შეკითხვები, რომლებიც შემოიტანეს დეპუტატებმა ნ. ი. ვედერნიკოვმა, ა. ს. გერკუნმა, ვ. ა. ბახანცოვამ, ა. ა. დოდონოვმა, ვ. ა. ლებედევამ, რ. ვ. უსვიდიატემ, ა. უ. იუნუსოვმა. იმასთან დაკავშირებით, რომ ეს შეკითხვები სსრ კავშირის მთავრობის საქმიანობას ეხება, დეპუტატები იღებენ გადაწყვეტილებას, გადასცენ იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რათა მათზე პასუხი გაეცეს სესიის დროს.

პალატათა ცალ-ცალკე სხდომებზე დამთავრდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნის საკითხის განხილვა.

პალატების მუდმივი კომისიების წინადადებათა შესაბამისად, ამ საკითხის გამო მომზადებულ დოკუმენტებში შეტანილია შესწორებები.

დეპუტატები იღებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნის შესახებ.

პალატებში ცალ-ცალკე კენჭისყრით იღებენ კანონს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, რომელიც იმოქმედებს 1988 წლის 1 იანვრიდან.

იღებენ აგრეთვე დადგენილებას სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის ამოქმედების წესის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაევალა განიხილოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც გამოთქვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნის საკითხის განხილვისას, და განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი.

(დასასრული მე-3 გვ.)

რესპუბლიკა იწონებს

შემოქმედების საიმედო საყრდენი

ახალი მიდგომის უპირატესობა

საკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სერიოზულად იქნა გაკრიტიკებული სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაობა. სრულიად სამართლიანად აღინიშნა, რომ უკვე მიმდინარე წლის პირველსავე თვეებში მოხდა სერიოზული შეცდომები, რასაც მოჰყვა შეფერხებები ეკონომიკის ბევრ უბანზე. და თუშცა ვითარება თანდათან სწორდება, ზარალი მაინც საგრძნობია.

ეს ჩვენს რესპუბლიკას, მის საგეგმო ორგანოებსაც ეხება. მთელი რიგი ჩვენი საწარმოები ჯერ კიდევ ძველი ტექნიკით მუშაობენ, იყენებენ არაეფექტიან ტექნოლოგიებს, ჩვენ კი, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაკები, ზოგჯერ ამაზე თვალს ვხუჭავთ. ეს მოწმობს დაგეგმვის სუსტ მამობლიზებელ როლს წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების საქმეში. გეგმები მთელ რიგ შემთხვევებში მიზნად არ ისახავს ახალი ტექნიკის დანერგვას, მის განახლებას. რეალიზებული პროდუქციის მოცულობა მიწოდების გეგმის შესრულების გათვალისწინებით ბევრისათვის კანონი არ ყოფილა. მაგრამ აქ არ იგრძნობოდა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მომთხოვნელობა. გასაგებია, რომ სახელმეკურეობო ვალდებულებათა 100-პროცენტიანი შესრულება შეუძლებელია მიმწოდებელთა მხრივ შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გარეშე. ამიტომ კომიტეტმა უნდა გააქტიუროს მუშაობა მომთხოვნე საწარმოების ბაზაზე. ეს ნიშნავს, ეკონომიკის ინტენსიური ტექნოლოგიები მიწოდებისა და მეცნიერების პროდუქციის წარმოებაში, უფრო ფართოდ დავნერგოთ კოლექტიური და საოჯახო იჯარა, უფრო აქტიურად გადავწყვიტოთ სოფლის სოციალური პრობლემები.

როდესაც პარტია გარდაქმნის გზებს გვისახავს, როცა ეკონომიკის წინსვლის გადამწყვეტი ფაქტორები ცნობილია, ჩვენ ისევ დაგვრჩენია თითოეული საზოგადოებრივი მეურნეობისათვის მოვახდინოთ ზუსტი გაანგარიშებანი, გავაანალიზოთ არსებული მდგომარეობა და ... ლოდ, რა და როგორ გავაკეთოთ. გადამწყვეტი კი ის არის, რომ მიწა რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ.

ჩვენთან მთავარი მეჩაიეობა და მეცხოველეობაა. ჩაის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები განახლებას საჭიროებს. ამასთან არის შეფერხებებიც. ისევე როგორც მეჩაიეობის სხვა მეურნეობებში, ჩვენთანაც დღის წესრიგში დადგა პლანტაციების განახლების საკითხი. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ წინათ კოლმეურნეობაში არასწორი ექსპლოატაციის გამო ჩაის ბუჩქები ზოგან დაკენდა, დიდ მოსავალს აღარ იძლევა, ახალ პლანტაციებს კი არ აშენებდნენ. ახლა გადავწყვიტეთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს ჩაის ბუჩქების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისა, ახალი პლანტაციების გაშენების გზით, პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებით უზრუნველვყოთ მოსავლიანობის მატება. ამასთან, ცხადია, უნდა ვიბრძოლოთ ხარისხისთვისაც.

გარდაქმნა მაშინ დავიწყეთ, როცა საკუთარი ჩაის ფაბრიკა ავაშენეთ. ახლა ჩვენს ნედლეულს ჩვენვე ვამუშავებთ და ყოველთვის ეცდილობთ მაღალხარისხოვანი ჩაი გამოვუშვათ, რადგან კარგად ვიცით, რომ მაღალხარისხოვანი პროდუქცია შემოსავლის ზრდის წყაროა.

მეცხოველეობა მძიმე შრომის შესამსუბუქებლად ყოველწლიურად დიდძალ სახსრებს ვხარჯავთ

თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივი გულდასმით გაეცნო ივნისის პლენუმის მასალებს, თითოეულ საამქროში, უბანზე განიხილავენ მათ, წამოჭრილი პრობლემები, საკითხები ყველას აღელვებს.

სურათზე: № 2 საამწყობო საამქროს ვეტერანი და ახალგაზრდა მუშები: ნ. სტოროჟენკო, პ. პერანიძე, ჯ. მაცაბერიძე, ა. სახოკია, ს. ავლოხოვი მსჯელობენ პლენუმის მასალების ირგვლივ.

ფ. კრიმსკის ფოტო.

ძლებელია მიმწოდებელთა მხრივ შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გარეშე. ამიტომ კომიტეტმა უნდა გააქტიუროს მუშაობა მომთხოვნე საწარმოებისაც, მიაღწიოს იმას, რომ ყველა შეკვეთა ვადაზე და ხარისხიანად სრულდებოდეს.

ძირეულ გარდაქმნებს საზოგადოებასა და უწინარეს ყოვლისა ეკონომიკაში მრავალპლანიანი და მასშტაბური ხასიათი ექნება. ამ საფუძველზე უნდა მივაღწიოთ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრას. ამიერიდან ახალ პირობებში აუცილებელი გახდება კარდინალური ძვრები შრომის ნაყოფიერების, წარმოების ეფექტიანობის ზრდაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში და, მაშასადამე, დაგეგმვის მთელი სტრუქტურის ძირეულ შეცვლაში. ახალი სამეურნეო მექანიზმი ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებს.

პლენუმმა საგეგმო ორგანოებს მოსთხოვა განსაზღვრონ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პრიორიტეტები და მიზნები, სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართულებები. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, რომელიც მთელ თავის შემდგომ მუშაობას საფუძვლად დაუდებს პლენუმის გადაწყვეტილებებს, უნდა განახორციელოს დაგეგმვის კარდინალური რეფორმა, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის მართვის ძირეულ გარდაქმნას.

გ. მეძმარიაშვილი,
საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

წარმატება ეფუძნება მოგებას

საწარმოს (გაერთიანების) ეკონომიკური ეფექტიანობა ... სრება სწორი ეკონომიკური პასუხისმგებლობა თავისი საქმიანობის შედეგებისათვის, რომლებიც ... 49 პროცენტის ნაცვლად 68 პროცენტი შეადგინა, ეგეგმის გადამეტებით მომხმარებელს მივაწოდეთ 493 ათასი მანეთის უმაღლესი კატეგორიის ნაწარმი. მოგებამ 780 ათას მანეთს მიაღწია და ამ თანხის ნაწილს საწარმოს სრულყოფისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის გამოვიყენებთ.

ცხადია, ჯერ გვაქვს ნაკლოვანებანი, დასახვეწია სამეურნეო მექანიზმი, მოსაგვარებელია ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის მრავალი საკითხი, მაგრამ მოკლე ხანში მთლიანად ავუწყობთ ფეხს ცხოვრებას, ვიმუშავებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად.

გ. დუგლაძე,
„ანალიზხელსაწყოს“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების საცდელი ქარხნის დირექტორი.

რაციონალურად გამოვიყენოთ მიწა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე ითქვა, რომ „ძირეული ძვრის შესაძლებლობანი ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობის აქვს“.

ეს იმას ნიშნავს, რომ უწინარეს ყოვლისა ავითვისოთ ინტენსიური ტექნოლოგიები მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში, უფრო ფართოდ დავნერგოთ კოლექტიური და საოჯახო იჯარა, უფრო აქტიურად გადავწყვიტოთ სოფლის სოციალური პრობლემები.

როდესაც პარტია გარდაქმნის გზებს გვისახავს, როცა ეკონომიკის წინსვლის გადამწყვეტი ფაქტორები ცნობილია, ჩვენ ისევ დაგვრჩენია თითოეული საზოგადოებრივი მეურნეობისათვის მოვახდინოთ ზუსტი გაანგარიშებანი, გავაანალიზოთ არსებული მდგომარეობა და ... ლოდ, რა და როგორ გავაკეთოთ. გადამწყვეტი კი ის არის, რომ მიწა რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ.

ჩვენთან მთავარი მეჩაიეობა და მეცხოველეობაა. ჩაის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები განახლებას საჭიროებს. ამასთან არის შეფერხებებიც. ისევე როგორც მეჩაიეობის სხვა მეურნეობებში, ჩვენთანაც დღის წესრიგში დადგა პლანტაციების განახლების საკითხი. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ წინათ კოლმეურნეობაში არასწორი ექსპლოატაციის გამო ჩაის ბუჩქები ზოგან დაკენდა, დიდ მოსავალს აღარ იძლევა, ახალ პლანტაციებს კი არ აშენებდნენ. ახლა გადავწყვიტეთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს ჩაის ბუჩქების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისა, ახალი პლანტაციების გაშენების გზით, პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებით უზრუნველვყოთ მოსავლიანობის მატება. ამასთან, ცხადია, უნდა ვიბრძოლოთ ხარისხისთვისაც.

გარდაქმნა მაშინ დავიწყეთ, როცა საკუთარი ჩაის ფაბრიკა ავაშენეთ. ახლა ჩვენს ნედლეულს ჩვენვე ვამუშავებთ და ყოველთვის ეცდილობთ მაღალხარისხოვანი ჩაი გამოვუშვათ, რადგან კარგად ვიცით, რომ მაღალხარისხოვანი პროდუქცია შემოსავლის ზრდის წყაროა.

მეცხოველეობა მძიმე შრომის შესამსუბუქებლად ყოველწლიურად დიდძალ სახსრებს ვხარჯავთ და ამით მოგებას ვნახულობთ, ამიტომ არის, რომ მეცხოველეობაში მუშახელი არ გვეჭირს, არც ზარალიანია ეს დარგი.

საერთოდ ჩვენთან წამგებიანი დარგი არ არსებობს. ეს საშუალებას გვაძლევს დიდი შემოსავალი მივიღოთ, საიდანაც დიდძალ თანხებს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად გამოვყოფთ ხოლმე. ჩვენი კახათი ნამდვილი თანამედროვე, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი სოფელია, და დღეიდან იმისათვის ვზრუნავთ, რომ მომავალში უფრო უკეთესად იცხოვრონ მშრომელებმა.

ჯ. გუგუჩია,
ზუგდიდის რაიონის კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

კანონის ცოდნა უველას ეგალება

ნამდვილი სახალხო განხილვის მაგალითი გახდა რეფერენდუმი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის გამო. მაგრამ, ცოდვა გამხელილი სჯობს, და ჯერ კიდევ არის ისეთი კანონები, რომლებსაც მშრომელთა ფართო წრე ნაკლებად იცნობს. და სავსებით სწორად აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე, რომ უნდა შეიქმნას სისტემა, რომელის მეშვეობით კანონები და მთავრობის დადგენილებები სწრაფად მიაღწევს მშრომელთა კოლექტივებს. ხალხი უნდა იცნობდეს ნორმატიულ აქტებს, რომელიც მის ცხოვრებასა და შრომითს საქმიანობას არეგულირებს.

ი. ჯაბაგაზიშვილი,
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში საამართლებრივი მუშაობის განყოფილების მთავარი კონსულტანტი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები

ცალკე ბროშურად გამოვიდა 1987

სახელმწიფო ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხთა საყოველთაო-სახალხო განხილვის თაობაზე სსრ კავშირის კანონის პროექტის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ა. გრომიკოს მოხსენება

ახლანდელი სესიის მუშაობა, თქვა მან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამართული პლენუმის ზემოქმედებით მიმდინარეობს. მას გადაუჭარბებლად უდიდესი საპროგრამო მნიშვნელობა აქვს პარტიის, მთელი ქვეყნის ცხოვრებაში. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში, პლენუმის გადაწყვეტილებებში ფასისაზღვრა ეკონომიკის მართვის, წარმოების ძირითად რგოლში მეურნეობრიობის პირობებისა და მეთოდების ძირეული გარდაქმნის მთავარი მიმართულებანი. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ეს-ეს არის მიიღო კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ამ ამოცანების შესრულებას.

ახლა სამსჯელოდ გამოგვაქვს კანონპროექტი ქვეყნის სახელმწიფო ცხოვრების დიდმნიშვნელოვან საკითხთა საყოველთაო-სახალხო განხილვის შესახებ. მასში ვითარდება და კონკრეტულ საკანონმდებლო ფორმას იძენს კონსტიტუციური დებულებანი საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეთა მართვაში მშრომელი ადამიანის მონაწილეობის შესახებ. იგი მიზნად ისახავს სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის შემდგომი დემოკრატიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მითითებებისა და პარტიის შემდგომი გადაწყვეტილებების რეალიზაციას.

წარმოუდგენელია ღონმა გარდაქმნა, თუ არ დავაჩქარეთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და არ მივაღწიეთ საზოგადოების თვისებრივად ახალ მდგომარეობას. ეს პრინციპული მნიშვნელობის დასკვნაა, რომელიც პარტიამ გამოიტანა. მან ყოველმხრივ დაასაბუთა და შეიმუშავა მომავლისათვის გამიზნული სტრატეგიული კურსი და მტკიცედ ახორციელებს მას.

ყოველმა საბჭოთა ადამიანმა გონებითა და გულით უნდა აღიქვას, რომ გარდაქმნა არა მარტო საზოგადოებრივი, არამედ პირადი აუცილებლობაც არის. ეს კი ნიშნავს, რომ არა მარტო კეთილსინდისიერად უნდა ვიშრომოთ, არამედ აქტიური მონაწილეობაც მივიღოთ საკუთარი კოლექტივის, ქალაქის, რესპუბლიკის, მთელი ქვეყნის საქმეთა მართვაში. უდიდესი როლი ეკისრება ამ საქმეში ყველა საფეხურის საბჭოებს. მათ მტკიცედ უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, მისი სტილი და მეთოდები.

მოქალაქეთა მონაწილეობა, ყველა დონეზე მონაწილეობა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საქმეების გადაწყვეტაში, კანონების პროექტთა განხილვაში ჩვენი სახელმწიფოებრიობის თვითმმართველობითი საწყისების განვითარების ძირითადი მიმართულებაა. ეს პრინციპული საკითხია. სწორედ ეს მიანდა ლენინს სოციალისტური დემოკრატიზმის ერთ-ერთ გადამწყვეტ უპირატესობად. დღეს რეალობად უნდა ვაქციოთ სახალხო ძალაუფლების საუკეთესო და მოწინავე ფორმები, რათა ისინი სრულად შეესაბამებოდეს სოციალიზმის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სულისკვეთებასა და არსს.

მასშტაბითა და სიღრმით გრანდიოზული გარდაქმნა, რომელიც ხელს უწყობს მშრომელთა პოლიტიკური აქტიურობის ზრდას, მოითხოვს, რომ მნიშვნელოვანი თვისებრივი შემობრუნება მოვახდინოთ სოციალიზმის დემოკრატიული პოტენციალის უფრო სრულად გამოვლინებისა და გამოყენებისაკენ. ეს საჭიროა იმიტომაც, რომ გარკვეულ პერიოდში რამდენადმე დეფორმირებული იყო სოციალისტური დემოკრატიის მთელი რიგი მხარეები.

მდგომარეობის გამოსწორების სწორი გზაა სოციალისტური დემოკრატიის თანამიმდევრული განვითარება და გაღრმავება. XXVII ყრილობის შემდეგ განახლება ვრცელდება საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების ყველა ფენაზე.

განახლების ატმოსფეროში ჩაიარა პროფკავშირებისა და კომკავშირის ყრილობებმა, შემოქმედებითი კავშირების ფორუმებმა, ასევითვე ატმოსფეროში მიმდინარეობს სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელი კადრების არჩევნები და ატესტაცია. მებრძოლი სულისკვეთებით არიან აღსავსე ახლად შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციები — ქალთა საბჭოები, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოები, საბჭოთა კავშირის კულტურის ფონდი და სხვები.

დემოკრატიის შემდგომი გაღრმავების გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა ჩვენი განვითარების დაჩქარების სტრატეგიაში საბჭოების ავტორიტეტისა და როლის გაძლიერება. ამას უდიდესწილად ხელი შეუწყო ადგილობრივი საბჭოების ამას წინათ გამართულმა არჩევნებმა. მისმა შედეგებმა ცხადყო, რომ გაიზარდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელთა პოლიტიკური აქტიურობა და მოქალაქეობრივი სიმწიფე.

საბჭოების არჩევნების პრაქტიკა, მრავალმანდატიან ოლქებთან დაკავშირებით მოწყობილი ექსპერიმენტი ადასტურებს, რომ სერიოზული ცვლილებები უნდა შევიტანოთ ჩვენს საარჩევნო სისტემაში. ეს წინადადება უნდა გამოვიტანოთ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. იგი მოწყობა უკვე კანონის შესაბამისად, რომლის პროექტზეც ვმსჯელობთ.

გარდაქმნა საბჭოთა ადამიანებს უღვიძებს სურვილს იაზროვნონ, იცხოვრონ და იმოქმედონ ახლებურად. თვით ჩვენ თვალწინ მიმდინარე რევოლუციური გარდაქმნები საშუალებას აძლევს თითოეულს დიდი საქმეების თანავტორი და მონაწილე გახდეს. და კანონი, რომელსაც განვიხილავთ, მოსახლეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ზრდის მძლავრი სტიმული გახდება. იგი ადგენს, რომ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებანი, საბჭოთა მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების, თავისუფლებისა და მოვალეობების განხორციელების საკითხები უნდა გამოვიტანოთ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

მომხსენებელი შეეხო სოციალური პოლიტიკის საჭირბოროტო ამოცანებს. ბუნების დაცვის პრობლემებზე რომ ილაპარაკა, მან აღნიშნა: გარემოს მდგომარეობა წლითიწლობით რთულდება. შეშფოთებას იწვევს ლადოგისა და ვლადაის ტბები, სევანი, ბალხაში და მთელი რიგი სხვა წყალსატევები. შეიძლება იგივე ითქვას აზოვის, კასპიისა და არალის ზღვების შესახებ. მეტ-ნაკლებად გაჭუჭყიანებულია შუა აზიის მდინარეები და სსრ კავშირის ევროპული ნაწილის მდინარეები. ენისეი, ობი, ირტიშიც კი წინანდელ სისუფთავეს კარგავენ. კვლავ ჭუჭყიანდება ჰაერი, განსაკუთრებით სამრეწველო ცენტრებში.

ახლა, როცა ბუნების დაცვის საქმე სცილდება უწყებრივი კანცელარიების კედლებს და ეშმარიტად მთელი ხალხის საქმედ იქცევა, ფართოდ უნდა განვიხილოთ არა მარტო ბუნების დაცვის ზოგადი აქტები, არამედ მრეწველობისა და მშენებლობის განვითარების არახელსაყრელი ეკოლოგიური შედეგების აღმოფხვრისა და თავიდან აცილების, ბუნებისადმი უსულგულო დამოკიდებულების აღკვეთის კონკრეტული ღონისძიებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო და საბჭოთა თავრობა უაღრესად ყურადღებით ეკიდებიან საზოგადოებრივ აზრს. უკვე შეწყდა ჩრდილოეთისა და ციმბირის მდინარეების ჩამონადენის ნაწილის გადაგდების მოსამზადებელი სამუშაოები. შეჩერდა ბაიკალის გაჭუჭყიანება. და ეს კარგია! მაგრამ უნდა განვამტკიცოთ დადებითი ძვრები იქ, სადაც ისინი გვაქვს.

ჯერ კიდევ უამრავი საჭირბოროტო საკითხია გადასაწყვეტი. და ისინი უნდა გადავჭრათ ხალხთან ყოველმხრივი მოთათბირების შედეგად. ამას უნდა შეუწყოს ხელი კანონმა სახელმწიფო ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხთა საყოველთაო-სახალხო განხილვის შესახებ.

პარტია აღნიშნავს, რომ საჭიროა კვლავაც ბეჯითად ვმუშაობდეთ იმისათვის, რომ მშრომელებს ჰქონდეთ შესაძლებლობა პრაქტიკულად გავლენას იმოქმედნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების სქემიანობაზე. ამისათვის საჭიროა დემოკრატიული ინსტიტუტების სამართლებრივი უზრუნველყოფა. სწორედ სამართლის, კანონის მეშვეობით ბევრი საკვანძო პოლიტიკური დებულება დემოკრატიის, ხალხის თვითმმართველობის, საჯაროობის გაფართოების, მოქალაქის სტატუსის განმტკიცების დარგში გადაგვყავს პრაქტიკის კონკრეტულ ეტაპზე, ყველისათვის საკვალდებულო ხდება. ჩვენ კვლავაც უნდა გავაუმჯობესოთ საბჭოთა კანონების ხარისხი.

მნიშვნელოვან საკითხთა საყოველთაო-სახალხო განხილვის წესის დამკვიდრება კანონის ზუსტ ფარგლებში ქმნის სახელმწიფო გადაწყვეტილებათა მომზადებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მტკიცე სამართლებრივ გარანტიებს.

კანონპროექტის შემუშავებისას ჩვენში ამ თვალსაზრისით არსებული პრაქტიკა ყოველმხრივ იქნა შესწავლილი. როგორც ცნობილია, 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან განსახილველად გამოტანილია მთელი რიგი მნიშვნელოვანი კანონების პროექტები. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ჩვენი ძირითადი კანონის — სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა. სარგებლიანად და ნაყოფიერად განიხილა ხალხმა საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების, ქორწინებისა და ოჯახის კანონმდებლობის, სკოლის რეფორმის პროექტი. საბჭოთა საზოგადოებას განუხილავს წყლის, ტყის, წიაღის, ცხოველთა სამყაროს, ატმოსფერული ჰაერის, კულტურის ძეგლების დაცვის კანონების პროექტებიც.

ამავე დროს, კანონების პროექტების წინანდელ განხილვებში სერიოზული ნაკლოვანებები გვქონდა. ხშირად ასეთი განხილვა იყო ზედმეტად ორგანიზებული, მიმდინარეობდა ფორმალურად, მოქალაქეთა წინადადებებისა და შენიშვნების ჯეროვანი ანალიზის გარეშე. ამის შედეგად ბევრი საარგებლო წინადადება ვერ აისახებოდა პროექტების საბოლოო დამუშავების დროს.

მოკავშირე რესპუბლიკებში აგრეთვე სრულად არ არის გამოყენებული ჩვენი დემოკრატიის მდიდარი არსენალი. ათწლეულის წინათ რესპუბლიკური კონსტიტუციების პროექტების განხილვის შემდეგ არც ერთი სხვა კანონი თუ კოდექსი მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში ხალხის განსახილველად არ გამოტანილა. ისინი ცირკულირებული იყო მხოლოდ უწყებებსა და დაწესებულებებში.

კანონმა, რომელიც უნდა მივიღოთ, საიმედოდ უნდა ჩაუკეტოს გზა განხილვის მოწყობისას ფორსულში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს, მტკიცე გარდატეხა შეიტანოს რესპუბლიკური საკანონმდებლო აქტების მომზადების პრაქტიკაშიც.

განსაზღვრულად წარმოდგენილი კანონი განსაზღვრავს ზოგად პრინციპებს, რომლებზეც იგება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური თუ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხთა განხილვა. იგი შეიცავს საბჭოთა ადამიანების აზრის მაქსიმალურად ფართო გამოთქმის საიმედო გარანტიებს. ამასთან გამორიცხულია მოქალაქეთა ყოველგვარი უფლებების, პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვის შესაძლებლობა.

ახლა, როცა ფართოდ გაჩაღდა ბრძოლა ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ, მეტად საჭიროა კანონპროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვა არ გადავაქციოთ ფორმალურ პროცედურად. საჭიროა, რომ განსახილველად გამოტანილ პროექტს ეცნობოდეს ყველა მოქალაქე.

იმის მნიშვნელოვანი გარანტია, რომ არც ერთი შენიშვნა და წინადადება არ დარჩება შეუსწავლელი და შეუფასებელი, რომ მშრომელთა აზრს გავითვალისწინებთ, არის წინადადებებსა და შენიშვნებზე მუშაობის კანონით გათვალისწინებული ზუსტი წესი. მას განახორციელებენ ყველა ღონის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, უწინარეს ყოვლისა, სახალხო დეპუტატთა საბჭოები.

ხალხის აზრის გათვალისწინება, თქვა შემდეგ ორატორმა, საჭიროა ყველა დონეზე: ქვეყნის, რესპუბლიკის მასშტაბითაც და ოლქის, ქალაქის, რაიონის, სოფლის მასშტაბითაც. უფრო მეტიც, მოსახლეობის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხთა განხილვა მუდმივ პრაქტიკად უნდა იქცეს.

ამ ბოლო დროს მმოქმედებულია ახალი პოლიტიკური და სამართლებრივი მექანიზმები, რომელთა მიზანია საბჭოების და დეპუტატების ცოცხალი კავშირი მოსახლეობის მასებთან. თითქმის ერთი წლის წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში საბჭოების როლის შემდგომი ზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. ვერ ვიტყვით, რომ დადგენილებამ უკვე შეასრულა თავისი ამოცანა. ამაში გვარწმუნებს, კერძოდ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებზე ქვეყნის მთელი რიგი რესპუბლიკების, ოლქებისა და ქალაქების საბჭოების მუშაობის საკითხთა განხილვა. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ყველგან საქმით არ იქცევიან როგორც ბატონ-პატრონები, მოკრძალებით ბჭობენ მოსახლეობასთან, საკმარისად არ სწავლობენ და არ ითვალისწინებენ მშრომელთა აზრს მნიშვნელოვან საქმეთა გადაწყვეტისას. საბჭოები ჯერ კიდევ სრულად არ დაუფლებიან ახალ, გაფართოებულ უფლებებს, სუსტად ახდენენ გავლენას თავიანთი ტერიტორიების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე.

ერთი მხრივ, ყველა რანგის საბჭოები, მათი აღმასკომები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ იმ უფლებამოსილებებით, რომლებიც მათ ახლა აქვთ მინიჭებული. მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი ხშირად მხრებს იჩეჩავენ, არ იციან, რას მოჰკიდონ ხელი უწინარესად, რა გადაწყვიტონ მთლიანად თავად, და რა — ზემდგომი დაქვემდებარების ორგანიზაციებთან ერთად. მათ არ ჰყოფნით უფრო პასუხისმგებლური მიდგომა საქმისადმი, პრაქტიკულად მუშაობის გარდაქმნისადმი, უარი თქვან კანცელარიულობაზე, საკმარისად არ ბჭობენ მოსახლეობასთან.

მუდმივ და სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს სოციალური სფერო. სოციალური განვითარების საკითხები უნდა იყოს ხელისუფლების ორგანოებისა და ყველა საფეხურის მართვის მუშაობის ცენტრში. და ჩვენმა საკანონმდებლო საქმიანობამ, რა თქმა უნდა, ხელი უნდა შეუწყოს ამ საყოველთაო-სახალხო ამოცანის გადაწყვეტას. ცნობილია, რომ წარსულში ცენტრი და ადგილობრივი ორგანოები ჯეროვნად ვერ ავასებდნენ სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალური ბაზის მომწიფებულ პრობლემებს. ასეთი მდგომარეობა მტკიცედ დაგმო პარტიამ.

რაც შეეხება ცენტრალურ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებზეც ბევრად არის დამოკიდებული სოციალურ საკითხთა პრაქტიკული გადაწყვეტა, ბევრ მათგანს, როგორც მომხსენებელმა განაცხადა, დღესაც ვერ გამოუტანია ჯეროვანი დასკვნები პარტიის ყრილობის მითითებიდან. მაგრამ სამინისტროები — სამინისტროებად, ხოლო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს განსაკუთრებით მეტი მომთხოვნელობა ეკისრებათ. განა ცნობილი არ არის, რომ ბინის საკითხზე, ბაგაში ბავშვის მოწყობის თაობაზე, მომსახურების ხარისხის გამო საყვედურებით ადამიანები, უწინარეს ყოვლისა, მიმართავენ თავიანთ საბჭოს. და ეს სწორია. მაგრამ არის მრავალი ადგილობრივი საბჭო, საიდანაც ადამიანები ისე მიდიან, რომ ვერ იღებენ საჭირო პასუხს, აზრიან ახსნა-განმარტებას. და იწყებენ, ხატოვნად რომ ვთქვათ, წერილებით მოსკოვის დაბომბვას. ასეთი წერილი და მიმართვა მრავლად გვაქვს.

საბჭოებისათვის გარდაქმნა, ზაზგასმით აღნიშნა ორატორმა, ნიშნავს ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, სახალხო განათლების, კულტურის დაწესებულებათა მუშაობის პრაქტიკულ გაუმჯობესებას. და, რა თქმა უნდა, პირველ ადგილზე დგას ბინის საკითხი. იგი კვლავ მწვავე პრობლემად რჩება.

ამიტომ პარტიის XXVII ყრილობის განაწესი — 2000 წლისათვის უზრუნველყოფთ თითოეული ოჯახი ცალკე ბინით ან სახლით — მოითხოვს ყველა საბჭოთა ორგანოს, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების, შრომითი კოლექტივების დიდ ძალისხმევას, მაგრამ იგი უნდა შესრულდეს.

როცა ვლაპარაკობთ ბინისა და მშენებლობის, ხალხისათვის საჭირო სოციალური ნაგებობების, მომსახურების სფეროს განვითარების შესახებ, ადამიანები საფუძვლიანად აყენებენ წინა პლანზე ხარისხის საკითხს. ყველა საშუალებით, მათ შორის იურიდიული საშუალებებითაც უნდა გავზარდოთ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა, თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობა ხარისხოვანი, მოსახლეობისათვის საჭირო პროდუქციის გამოშვებისათვის. ამ საქმეში პრინციპულ პოზიციაზე უნდა იდგნენ საბჭოებიც.

ჩვენმა კანონებმა ხელი უნდა შეუწყოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ეს გულისხმობს უკმაპრომისო ბრძოლის განგრძობას ისეთი მძიმე მანკის წინააღმდეგ, როგორიც არის ლოთობა და ალკოჰოლიზმი. მთლიანად ქვეყანაში, როგორც ცნობილია, მკვეთრად შემცირდა ღვინისა და არყის ნაწარმის წარმოება და გაყიდვა, განმტკიცდა შრომის დისციპლინაც.

ამავე დროს, ზოგიერთ რაიონში ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა საკმარისად არ მიმდინარეობს. ამასთან ადგილებზე ხშირად იღებენ რაღაც მახინჯ გადაწყვეტილებებს მოქმედი კანონების საწინააღმდეგოდ. ზოგიერთი ხელმძღვანელი მიმართავს განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ კამპანიურობას, ფორმალურ თვითანგარიშს. ანგარიშს აბარებენ და მშვიდდებიან ან ნახევრად მშვიდდებიან, თუმცა ამის საფუძველი არა აქვთ. მიმდინარე წელს აქა-იქ გაიზარდა ღვინისა და არყის ნაწარმის დამზადება. არყის შინგამოხდის გამოვლენილ შემთხვევათა რიცხვი გაიზარდა.

მაგრამ კანონს გადახვევა არ შეგვიძლია და არც გადავუხვევთ. ამას გვიკარნახებს ქვეყნის, ხალხის უდიდესი ინტერესები. გარდაქმნის პირობებში სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს მართლწესრიგის დაცვის, კანონიერების განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის საკითხები, დისციპლინისა და წესრიგის დონე. გადასაჭრელი პრობლემა აქაც ბევრია — ჯერ კიდევ დიდია დანაშაულობა, ბევრ სამართალდარღვევას სხადიან მოზარდები. ყოველივე ეს საბჭოების მუშაობის ფართო და უაღრესად პასუხსაგები ფრონტია. სწორედ საბჭოებისა, და არამარტო აღმასკომებისა, რომლებიც უნდა მოქმედებდნენ ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატთა უშუალო კონტროლით.

მაგრამ აქ უნდა ითქვას: გადასაწყვეტი საკითხები ისეთია დამოგვაქვს სესიაზე. ადამიანებმა ზოგჯერ არც კი იციან, რას განიხილავენ და წყვეტენ საბჭოები, და ამის გამო სათანადო მონაწილეობასაც არ იღებენ მიმდინარე ღონისძიებებში. როგორც ხედავთ, დემოკრატიისთვის აქ ვრცელი ასპარეზია.

კანონი, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, პირდაპირ მოითხოვს, რომ მოსახლეობის განსახილველად გამოვიტანოთ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმები, ბიუჯეტი, საწარმოების, დაწესებულებებისა და მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული ორგანიზაციების მუშაობის საკითხები. მათი მუშაობა კი ამჟამად სრულიად ვერ აკმაყოფილებს საბჭოთა ადამიანებს.

ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საქმეებიცაა, რომლებიც არ უნდა კეთდებოდეს მოსახლეობასთან მოოთათბირებლად. ეს არის ქალაქთმშენებლობის, სამრეწველო საწარმოების განლაგების, ახალი სახლების ან მიკრორაიონების გაშენების, შენობების დანგრევის, ძეგლების დადგმის, ქალაქების ან ქუჩებისათვის სახელების დარქმევის ან გადარქმევის პრობლემები. მოქალაქეთა აზრი უნდა გავითვალისწინოთ ისეთ საქმეშიც, როგორიც არის ყოოპერაციული და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, ახალგაზრდული საბინაო კომპლექსების აშენება.

დღეს მთელ რიგ ადგილებში შეიმჩნევა უკეთესობისაკენ ცვლილებების ნიშნები. საბჭოების გადაწყვეტილებათა პროექტებს ბეჭდავენ პრესაში, წინასწარ განიხილავენ შრომითი კოლექტივების კრებებზე, მოქალაქეთა თავყრილობებზე, გაზეთების ფურცლებზე, კონფერენციებსა და თათბირებზე. პროექტების მიხედვით წარმოებს აქტიური აზრთა გაზიარება. ადამიანებიც გრძნობენ, რომ მათ ანგარიშს უწევენ, მათს აზრს პატივს სცემენ. ახალი კანონი ყველგან ფართო გასაქანს მისცემს ასეთ პრაქტიკას. იმისათვის, რომ მისმა დებულებებმა რეალური შინაარსი შეიძინონ, მოქალაქეებმა შეძლონ თავისუფლად განიხილავდნენ ქვეყნის ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს, აგრეთვე ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ სახელმწიფო ორგანოების, უწინარეს ყოვლისა, საბჭოების მუშაობაზე, ყოველმხრივ უნდა გავაფართოოთ საჯაროობა. უნდა შეექმნათ ცოცხალი დისკუსიის, ინიციატივისა და შემოქმედებითი აზრის გამოვლინის პირობები. საჯაროობა მოწოდებულია გადაიქცეს შეუფერხებლად მოქმედ სისტემად. ყოველი მოქალაქე უნდა იღებდეს სწორ და საკმაოდ სრულ ინფორმაციას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების თანამდებობის პირთა მუშაობის შესახებ, თავისუფლად გამოთქვამდეს აზრს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობითაც, წერილობითაც, ზეპირადაც. ასეთ უფლებათა გარანტიას წარმოადგენს ინფორმაციის წყაროების დაუფარაობა, ყველა საფეხურის საბჭოებისა და მათი აღმასკომების საქმიანობის დაუფარაობა. ნაკლოვანებანი, მახინჯი მოვლენები, კანონის დარღვევათა შემთხვევები — ყოველივე ეს საჯაროობას უნდა მივანდოთ: ტელეგადაცემა იქნება ეს, გაზეთის გვერდი, ჟურნალი თუ სხდომა. ეს საკითხებიც საკანონმდებლო წესით უნდა გადაწყდეს. სამართლებრივი აქტების მიღება, რომლებიც უზრუნველყოფს საჯაროობის შემდგომ გაფართოებას, მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იქნება პარტიის დებულებათა რეალიზაციის გზაზე.

კანონი, რომელიც უნდა მივიღოთ, პირველი იქნება ასეთ აქტებს შორის. მაგრამ იმისათვის, რომ იგი მუშაობდეს, მოქმედებდეს, ადამიანებს მთელი სიგრძე-სიგანით უნდა გავაგებინოთ მისი დებულებების აზრი და დანიშნულება, განვსაზღვროთ კანონის შესრულებისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების კონკრეტული ამოცანები. აგრეთვე უნდა გავიაზროთ, და მოვამზადოთ რესპუბლიკებში და ადგილებზე უმნიშვნელოვანესი საკითხებიც განხილვასთან დაკავშირებული ახალი რესპუბლიკური საკანონმდებლო აქტები.

ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, თვით გარდაქმნა — ამ პროცესების სული და გული — ხორციელდება ოქტომბრის რევოლუციის იდეების საფუძველზე, რომლის 70 წლისთავი მძლავრ იმპულსს მიანიჭებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მუშაობას, თქვა დასასრულ ა. ა. გრომიკომ. ჩვენ საამაყო ბევრი გვაქვს, მაგრამ არც გადასაჭრელი პრობლემები გვაკლია. უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ თითოეული სწავლობდეს იცხოვროს და იშრომოს გაღრმავებული სოციალისტური დემოკრატიის პირობებში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თქვენს ყურადღებას მიაპყრობს სახელმწიფო ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხთა საყოველთაო-სახალხო განხილვის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტს და გთხოვთ მიიღოთ იგი. **(ხანგრძლივი ტაში).**

(საკდესი).

---

* მოხსენება იბეჭდება შემოკლებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ი. რიჟკოვის მოხსენება, აღნიშნავს, რომ ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნა დიდი ოქტომბრის საქმის უშუალო განგრძობაა, იგი განუხრელად არის დაკავშირებული მასთან და ერთიანია მთავარ საქმეში — სოციალიზმის მიზანმიმართულ აღმშენებლობაში.

სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნის, ეკონომიკის ხელმძღვანელობის სისტემასა და საწარმოო ძალების განვითარების დონეს შორის წინააღმდეგობათა დაძლევის მთავრობის მიერ წამოყენებული ღონისძიებანი მიზნად ისახავს პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმის მიერ შემუშავებული იმ სტრატეგიული კურსის პრაქტიკულ რეალიზაციას, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, სოციალიზმის შესაძლებლობათა სრულ გამოყენებას ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის ინტერესებისათვის. ეს ღონისძიებანი, რომლებიც შემუშავებულია სახალხო მეურნეობის განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზის ბაზაზე, — მთელი საბჭოთა ხალხის, პარტიელი, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მეცნიერების მუშაკთა შემოქმედებითი მეცადინეობის შედეგია.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მიაჩნია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდგომ განვლილ პერიოდში საბჭოთა საზოგადოება მტკიცედ დაადგა ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროში ძირეული გარდაქმნების, ამ საქმეში მშრომელთა ფართო მასების აქტიური და დაინტერესებული მონაწილეობის გზას. ამავე დროს კვლავ დიდი ნაკლოვანებებია საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციაში. ჯერ კიდევ შეინიშნება უყაირათობა, დისციპლინის დარღვევა, მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, ნელა ვითარდება სოციალური სფეროს მატერიალური ბაზა, ჭიანურდება მართვის აპარატის მუშაობის გარდაქმნა, არის პროგრესული წამოწყებებისადმი სწინააღმდეგო მოქმედების ფაქტები. ასეთ პირობებში გადაუდებელი საქმეა გარდაქმნა ეკონომიკაში, კარდინალური ცვლილებების განხორციელება მისი მართვის სისტემაში.

მართვის სისტემის სრულყოფის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა მთლიანი ხასიათისაა. იგი ითვალისწინებს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ფართო დემოკრატიზაციას, საწარმოთა დამოუკიდებლობის გაფართოებას, მათს გადაყვანას სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითმმართველობის პრინციპებზე. თვისებრივად გარდაიქმნება დაგეგმვა, ეკონომიკური სტიმულირების სისტემა, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურები. ღრმა ცვლილებებს განიცდის დარგობრივი და ტერიტორიული მართვა. ხორციელდება მტკიცე გადასვლა უპირატესად აღმინისტრაციულიდან უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებზე. ეკონომიკის მართვისადმი ახალი მიდგომის ბევრი ელემენტი პრაქტიკით არის აპრობირებული და შრომითი კოლექტივების ფართო მხარდაჭერა დაიმსახურა. ამის მკაფიო დადასტურებაა საბჭოთა ადამიანების დაინტერესება და აქტიური მონაწილეობა სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის განხილვაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მხარს უჭერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის საკითხებზე და საჭიროდ მიაჩნია საფუძვლად დაედოს ისინი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ყველა ორგანოს, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახალხო მეურნეობის მართვის ძირეული გარდაქმნის სსრ კავშირის მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია უფრო სრულად გამოავლინოს სოციალიზმის შესაძლებლობანი, მიანიჭოს ეკონომიკას დიდი დინამიზმი, მოქნილობა და ადვილად აითვისოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მოახდინოს საწარმოო ცხოვრების დემოკრატიზაცია, ყოველნაირად განავითაროს მასების ცოცხალი შემოქმედება და გააქტიუროს ადამიანის ფაქტორი.

გათვალისწინებულ გარდაქმნათა განხორციელებაში ძირეული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის მიღებას. კანონმა უნდა დაამკვიდროს მეურნეობრიობის პირობების ძირეული ცვლილებანი, მართვის უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა, მნიშვნელოვნად გააფართოოს საწარმოთა დამოუკიდებლობის ფარგლები და გააძლიეროს მათი პასუხისმგებლობა, სრულად უზრუნველყოს საზოგადოებრივ საკუთრებაში მათი წამყვანი როლიდან გამომდინარე უფლებები, განსაზღვროს სახელმწიფო მართვის ორგანოების საქმიანობის გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი.

სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნის ღონისძიებათა განხორციელების დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპის თანამიმდევრული რეალიზაცია, შრომითი კოლექტივების როლის გადიდება, ისეთი ორგანიზაციული და ეკონომიკ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
დადგენილება

დეპუტატ ა. უ. სალიმოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დეპუტატი აკილ უმურზაკის ძე **სალიმოვი** განთავისუფლდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი

მოსკოვი, კრემლი. **1987 წლის 29 ივნისი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
დადგენილება

დეპუტატ რ. ნ. ნიშანოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დეპუტატი რაფიკ ნიშანის ძე **ნიშანოვი** არჩეულ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. **1987 წლის 29 ივნისი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
დადგენილება

დეპუტატ გ. ვ. კოლგინის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დეპუტატი გენადი ვასილის ძე **კოლგინი** არჩეულ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. **1987 წლის 29 ივნისი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
დადგენილება

დეპუტატ ე. ე. სოკოლოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დეპუტატი ეფრემ ევსეის ძე **სოკოლოვი** არჩეულ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. **1987 წლის 29 ივნისი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
დადგენილება

დეპუტატ ნ. ნ. სლიუნკოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დეპუტატი ნიკოლოზ ნიკიტას ძე **სლიუნკოვი** განთავისუფლდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. **1987 წლის 29 ივნისი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
დადგენილება

დეპუტატ დ. ა. კუნაევის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დეპუტატი დინმუჰამედ ახმედის ძე **კუნაევი** განთავისუფლდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. **1987 წლის 29 ივნისი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
დადგენილება

დეპუტატ მ. ზ. შაკიროვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დეპუტატი მიდჰატ ზაქირის ძე **შაკიროვი** განთავისუფლდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. **1987 წლის 29 ივნისი.**

მოლაპარაკება მოსკოვში

29 ივნისს დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ხ. პერეს დე კუელიარის მოლაპარაკება. დღის წესრიგში მშვიდობის განმტკიცების, ომის საფრთხის აღკვეთის, სახელმწიფოთა და ხალხთა ფართო ორმხრივ ხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარების, საერთაშორისო საქმეებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლის გაძლიერების საკითხები.

* * *

ამავე დღეს მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხ. პერეს დე კუელიარს გადაეცა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის დიპლომი.

(**საკდესი**).

ძირეულ გარდაქმნათა პარტიული კურსი

(**დასასრული**)

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ სახელმწიფო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების საყოველთაო-სახალხო განხილვის შესახებ კანონის პროექტის განხილვას.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **ა. ა. გრომიკოს.**

კამათი გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ჯ. ბ. გილაშვილმა.** თავის რესპუბლიკაში საბჭოების საქმიანობის მაგალითით ორატორმა დამაჯერებლად დაადასტურა, თუ როგორ არის უშუალოდ დამოკიდებული მოსახლეობის აქტიურობა მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკითხების განხილვაში ადამიანების გათვითცნობიერებაზე, მომწიფებული პრობლემების გადაჭრაში. მათ უშუალო მონაწილეობაზე.

ლატვიის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ დეპუტატმა **დ. ო. სკულმემ** აღნიშნა მშრომელთა მზარდი სოციალური და პოლიტიკური აქტიურობა, მათი ბრძოლა რესპუბლიკის ბუნების დაცვისათვის. ორატორმა განაცხადა, რომ საყოველთაო-სახალხო განხილვა კულტურისა და სოციალური აზროვნების მაღალ დონეს მოითხოვს. და კარგია, რომ დღეს ყველაფერი კეთდება, რათა გაიზარდოს ადამიანის ფაქტორის როლი, უფრო მტკიცედ ირწმუნოს მან საკუთარი თავის, საკუთარი ძალებისა.

მომზადდა ვრცელი დოკუმენტი, რომელიც ამკვიდრებს ჩვენი ცხოვრების საჯაროობას. ასე დაახასიათა კანონის პროექტი სკკპ თორეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა **გ. ი. უსმანოვმა.** ახალ საკანონმდებლო აქტს, აღნიშნა მან, პრაქტიკულ სიბრტყეში გადაიყვანს ის დებულება, რომ მმართველობა სოციალიზმის დროს ხალხის ინტერესებისათვის ხორციელდება და სულ უფრო მეტად ხდება თვით მშრომელთა საქმე.

ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნა, საჭიროს ხდის მივიღოთ ახალი კანონების მთელი სერია, თქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა **ვ. ნ. კუდრიავცევმა.**

სამეცნიერო დაწესებულებათა ერთ-ერთი ამოცანაა ასეთი აქტების კონცეფციის მომზადება, ჩვენი სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავება უახლოესი და უფრო შორეული პერსპექტივისათვის. ორატორმა აღნიშნა, რომ ჯერჯერობით ამ ამოცანის გადაწყვეტა ყოვნდება.

კიევის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ვ. ა. ზგურსკიმ** თქვა, რომ კანონი, რომლის პროექტსაც განხილავს სესია, ხელს შეუწყობს მოქალაქეთა მონაწილეობის გაფართოებას გადაწყვეტილებათა შემუშავებაში ფართო საჯაროობის, მშრომელთა სხვადასხვა აზრისა და წინადადების გათვალისწინების საფუძველზე.

ხალხის მზარდი აქტიურობა, აღნიშნა მწერალმა, დეპუტატმა **ი. პ. შამიკანმა,** საფუძველს გვაძლევს მივიღოთ ისეთი კანონები, როგორსაც დღეს განვიხილავთ. ბელორუსიის მაგალითით ორატორმა უჩვენა, თუ რა მტკიცედ მკვიდრდება ჩვენს ცხოვრებაში სახალხო განხილვა.

ლენინგრადის გაერთიანება „სვეტლანას“ შემდეგებელთა ბრიგადირმა, დეპუტატმა **ა. ვ. შელუდიაკოვამ** თქვა, რომ ხალხს ახალი განწყობილება შეექმნა, ისინი ცდილობენ აქტიური გავლენა მოახდინონ საწარმოთა საქმის ვითარებაზე. იგი შეეხო აგრეთვე სიძნელეებს, რომლებიც უნდა დაძლიონ საწარმოს მუშაობის ორცალიან რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით.

განსახილველი კანონის პროექტი საშუალებას მოგვცემს უფრო ფართოდ ჩავაბათ მშრომელები სახელმწიფო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების გამო გადაწყვეტილებების შემუშავებაში, უფრო აქტიურად განვავითაროთ დემოკრატია და საჯაროობა, თქვა ყირგიზეთის სსრ ტონსკის რაიონის XXII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის სარქალმა დეპუტატმა **ტ. აკმატოვმა.**

ამით დამთავრდა კანონის პროექტის განხილვა.

პალატებში ცალ-ცალკე კენჭისყრით სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო სსრ კავშირის კანონი სახელმწიფო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების საყოველთაო-სახალხო განხილვის შესახებ.

* * *

კრემლის დიდ სასახლეში ნაშუადღევს დაიწყო კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მესამე გაერთიანებული სხდომა.

ტაშით შეხვდნენ დეპუტატები და სტუმრები ამხანაგებს **მ. ს. გორბაჩოვს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ა. ნ. იაკოვლევს, ი. კ. ლიგაჩოვს, ვ. პ. ნიკონოვს, ნ. ი. რიჟკოვს, ნ. ნ. სლიუნკოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ვ. მ. ჩებრიკოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ბ. ნ. ელცინს, დ. ტ. იაზოვს, ი. ფ. სოლოვიოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. პ. ბირიუკოვას, ა. თ. დობრინინს, ა. ი. ლუკიანოვს, ვ. ა. მედვედევს, გ. პ. რაზუმოვსკის, ი. ვ. კაპიტონოვს.**

მოქალაქეთა უფლებების შემლახველ თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის შესახებ მოხენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარე **გ. პ. რაზუმოვსკი.**

მოლიანად, განაცხადა კამათის გახსნისას სტავროპოლის სამხარეო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ი. ტ. ტარანოვმა,** შეიძლება დავეთანხმოთ ახალი კანონის ყველა მუხლს. ამავე დროს, ხაზი გაუსვა ორატორმა, კანონში არა მარტო ზოგადი პრინციპები უნდა დავადგინოთ, არამედ კონკრეტულადაც დავამკვიდროთ ისეთი დებულებები და ნორმები, რომ ახალი საკანონმდებლო აქტი მართლაც მოქმედი გახდეს. თორემ სათანადო სამართლებრივი მექანიზმის არარსებობის გამო ადგილიდან ვერ იძვრის, მაგალითად, კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ, ძნელად ხორციელდება საქმით კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ, რადგან იურიდიულ შინაარსს ფარავს სხვა ნორმატიული აქტებიდან დამოწმებათა სიმრავლე. ამიტომ ახალი კანონის პროექტს გარკვეული დახვეწა სჭირდება.

შემდეგ გამოვიდნენ სკკპ ჩიტის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი დეპუტატი **ნ. ი. მალკოვი,** როსტოვის ოლქის ნოვოჩერკასკის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი დეპუტატი **რ. გ. როშჩინსკაია,** სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი, დეპუტატი **ბ. ვ. კრავცოვი,** აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ყიზლის მანქანათსაშენებელი ქარხნის მფარავი დეპუტატი **ო. ა. ბაგიროვი.**

საბოლოო სიტყვით გამოსვლისას დეპუტატმა **გ. პ. რაზუმოვსკიმ** თქვა: მოქალაქეთა უფლებების შემლახველ თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრებისა

სურათზე: დეპუტატები საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სხდომათა დარბაზში.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ის წესის შესახებ წარმოდგენილი კანონის პროექტის განხილვის დროს გამოითქვა მთელი რიგი წინადადებები, რომლებიც პროექტს ავსებს და პრინციპული ხასიათისაა.

დღეს შემოგვთავაზეს დამატებებიც, რომლებიც საგულისხმოა და დამუშავებას საჭიროებს. ამიტომ კომისიებს შემოაქვთ წინადადება: მოქალაქეთა უფლებების შემლახველ თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ კანონის პროექტი მივიღოთ იმ სახით, როგორც შემოტანილია. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და პალატების საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებს განიხილონ დეპუტატების წინადადებები, და შედეგები მოახსენონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას.

პალატების მიხედვით ცალ-ცალკე კენჭისყრით იღებენ სსრ კავშირის კანონს მოქალაქეთა უფლებების შემლახველ თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ.

შემდეგ მოხსენებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ნ. მენთეშაშვილი.**

სესიამ მიიღო შესაბამისი კანონები და დადგენილებები.

წამოყენებულია წინადადება მოისმინონ პასუხები დეპუტატების კითხვებზე.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე, დეპუტატი **ვ. ს. მურახოვსკი.** იგი სესიას აცნობს მკაცრი ზამთრისა და გაზაფხულის არახელსაყრელი პირობების შედეგად წარმოქმნილ სიძნელეთა დაძლევის ღონისძიებებს, იმას, თუ რა პირი უჩანს მოსავალს, რა მუშაობა მიმდინარეობს საკვების საჭირო მარაგის შესაქმნელად, სურსათით მოსახლეობის მოთხოვნილებისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით მრეწველობის უზრუნველსაყოფად.

შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად მოხერხდა განვლილი ზამთრისა და გაზაფხულის დამლუპველი გაგლენის აღკვეთა. სადღეისოდ თითქმის ყველგან შეიქმნა საკმაოდ კარგი აგრომეტეოროლოგიური ვითარება. ახლა მეურნეობებში დაძაბული მუშაობა მიმდინარეობს ნათესების მოსავლელად, მაღალხარისხოვანი საკვების დასამზადებლად და [illegible] აღებისათვის მოსამზადებლად.

ამგვარად, თქვა დასასრულ ვ. ს. მურახოვსკიმ, წლევანდელი სასოფლო-სამეურნეო სეზონი რთული ამინდის პირობებში მიმდინარეობს. მაგრამ მიღებულმა ზომებმა და აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელთა ყოველდღიურმა მუშაობამ უნდა უზრუნველყოს სასურსათო პროგრამის დავალებათა შესრულება.

დეპუტატების კითხვებზე პასუხის გაცემისას სსრ კავშირის პურრპროდუქტების მინისტრმა **ა. დ. ბუდიკამ** თქვა: პურის არადამკმაყოფილებელი ხარისხი, რაზეც საბჭოთა ხალხი, ბევრ ადგილებში ამ ... ეკონომიკურმა ... ორჩენილობამ და მიშვებულობამ შვა.

სამინისტრომ შეიმუშავა ღონისძიებები, რომლებმაც მალე უნდა გამოიღოს ნაყოფი. გაუმჯობესდა საწარმოების მომარაგება სტანდარტული ფქვილით. განმტკიცდა კადრებით ქარხნებისა და საამქროების კოლექტივები, რამაც შესაძლებელი გახადა დისციპლინის გაძლიერება, წარმოების ტექნოლოგიის გამართვა და მთელი რიგი ტექნიკური სიახლეების დანერგვა, რაც ხელს უწყობს პურის ხარისხის გაუმჯობესებას.

ქვეყანაში ინდივიდუალური და კოოპერაციული შრომითი საქმიანობის განვითარების თაობაზე ილაპარაკა დეპუტატების კითხვებზე პასუხის გაცემისას სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ი. ი. გლადკინმ.**

დეპუტატების ვ. ს. მურახოვსკის, ა. დ. ბუდიკას და ი. ი. გლადკის პასუხები ცნობად არის მიღებული.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ მოქალაქეთა სამი ათასზე მეტი წერილი და დეპეშა მიიღო. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს. მათი მიმართვები შეიცავს საქმიან წინადადებებსა და სურვილს სესიაზე განსახილველ საკითხებზე. ბევრი მათგანი გათვალისწინებულია სესიის დოკუმენტების მომზადებისას. მიღებულია აგრეთვე პირადი ხასიათის თხოვნა და საჩივრები, რომლებიც დაუყოვნებლივ და კანონით დადგენილი წესით განხილება.

განხილვის შედეგებს აცნობებენ მოქალაქეებს, რომლებმაც სესიას მიმართეს.

ამით სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ მუშაობა დაამთავრა. (**საკდესი**).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე განხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 12 მაისის დადგენილება „აღმოსავლეთ საქართველოს დამლაშებული და ბიცობი მიწების მელიორაციისა და მათი ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო ათვისების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“. აღინიშნა, რომ განხორციელებულია 9 ათასი ჰექტარი მიწის ფართობის კაპიტალური გარეცხვისა და 18 ათას ჰექტარზე მეტი ფართობის გათაბაშრიანების ღონისძიებანი, შესრულებულია სამელიორაციო ხვნა 26 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე, ზონალური სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებული დამლაშებული და ბიცობი მიწებს მელიორაციისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების რეკომენდაციები.

ამავე დროს, ამ მიმართულებით მუშაობა ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს. მკაცრად იყო გაკრიტიკებული მცირემოსავლიანობა მელიორირებულ და განმლაშებულ მიწებზე, საპროექტო სამძლავრეთა ათვისების გაჭიანურება, მელიორანტების სუსტი გამოყენება, ის, რომ ფუნქციები ზუსტად არ არის განაწილებული შესაბამის სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებს შორის. ნიადაგების აღდგენის დანახარჯები არ შეესაბამება ათვისებული ფართობების უკუგებას, რის გამო საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს დაევალა მკაცრად აღრიცხოს მიწების ათვისებისათვის გაწეული დანახარჯები.

კონკრეტული დავალებანი იმ სამუშაოთა მკვეთრი გაფართოების უზრუნველყოფისათვის, რომელთა მიზანია მიწების განლაშების ახალი, დაჩქარებული მეთოდების შემდგომი შემუშავება, წყალ-ღვარცოფის რეჟიმის რეგულირების ეფექტიანი გზების გამოძებნა, მეხილეობის, მებოსტნეობისა და განსაკუთრებით საკვებწარმოების განვითარებისათვის აღდგენილი მიწების მაქსიმალური გამოყენება, მიეცათ აგრეთვე სხვა სამინისტროებს, უწყებებს, ორგანიზაციებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან იმისათვის, რომ ეს პრობლემა გადაიჭრას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში შექმნილი დაძაბული ვითარების პირობებში.

განიხილეს სპორტული დანიშნულების ობიექტების რაციონალური გამოყენებისა და მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის გორის საქალაქო აღმასკომისა და რაიაღმასკომის მუშაობის საკითხი. აღნიშნულია გარკვეული მიღწევები: სპორტის მიმდევართა რიცხვი მარტო ქალაქ გორში გაიზარდა 13 ათასამდე, იმათი რიცხვი, ვინც ჩაბარა მშთ ნორმატივები, — 6 ათასამდე, აშენდა რვა ხელბურთის მოედანი, დახურული საცურაო აუზი, ჩოგბურთის კორტები, საცხოვრებელ ადგილებში — უმარტივესი ტიპის სპორტული მოედნები, ტრადიციული გახდა მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებანი.

ამავე დროს რაიონში მთელი რიგი სპორტული ნაგებობანი და ბაზები უმოქმედოდაა, არ მიმდინარეობს მუშაობა სოფელ ხიდისთავის სპორტულ ბაზაში და კარალეთის საბჭოთა მეურნეობის სპორტულ მოედნებზე, კეთილმოწყობილი არ არის სპორტული ნაგებობანი სოფლის ახალუბნისა და ზერტის მეურნეობებში. რაიონში მოქმედი სპორტული ბაზების ფაქტობრივი დატვირთვა არ აღემატება 60 პროცენტს. აღინიშნა წამატების ფაქტები თანრიგოსან და მშთ ნორმატივიზაციებულ სპორტსმენთა გაფორმებაში. პრინციპული შეფასება მიეცა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას რაიონში სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმისადმი, რომლის შედეგია ის, რომ აქ 8 ფეხბურთის მოედანია ნორმატივებით გათვალისწინებული 26-ის ნაცვლად, 6 კალათბურთის მოედანი 19-ის ნაცვლად, 7 ფრენბურთის მოედანი 26-ის ნაცვლად და არ არის ღია აუზი.

ქალაქ გორსა და გორის რაიონში სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარების შემაფერხებელი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით შესაბამის საქალაქო აღმასკომსა და რაიაღმასკომს დაევალათ უზრუნველყონ მისი შემდგომი განტკიცება და გაფართოება ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებისა და დაინტერესებული ორგანიზაციების წილობრივი მონაწილეობის გზით. კონკრეტული დავალებანი მიეცათ აგრეთვე განათლების სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სახკომსპორტს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, სახაგრომრეწვს, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს.

მიღებულია გადაწყვეტილება წვრილი ავტომეურნეობების ლიკვიდაციის შესახებ, რომლებიც რესპუბლიკაში შეადგენენ დიდ უმრავლესობას — მათი საერთო რიცხვის 86,3 პროცენტს. დროის მოთხოვნების შესაბამისად ამ ღონისძიების განხორციელების საჭიროება ნაკარნახევია კიდევ ისეთი არსებითი გარემოებებით, როგორიც არის ავტოსერვისის წვრილ-წვრილი სამსახურების სუსტი სარემონტო ბაზა. ის, რომ აკლიათ ან საერთოდ არა ჰყავთ ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები. ყოველივე ეს ხელს უწყობს სხვადასხვაგვარ ნეგატიურ მოვლენებს.

წვრილი ავტომეურნეობების ლიკვიდაცია დაგეგმილია ორ ეტაპად და უნდა დამთავრდეს 1988 წლის შესამე კვარტალის დამლევს, რის გამო სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც ამგვარი მეურნეობები იქვემდებარებიან, აღნიშნული პერიოდისათვის მიეცათ კონკრეტული დავალებანი.

მიღებულია აგრეთვე დადგენილებანი მთელ რიგ სხვა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე.

(**საქინფორმი**).

რევოლუციური პოეზიის რაინდი

„**ᲗᲔᲛᲘᲠᲬᲧᲐ** ეპოქას — ეს არის არსი“ — ასეთი იყო სომხური საბჭოთა პოეზიის ფუძემდებლის ეღიშ ჩარენცის (1897-1937) შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი პოზიცია. 29 ივნისს მოსკოვის სამხატვრო აკადემიურ თეატრში გამართული საზეიმო საღამო მიეძღვნა ამ შესანიშნავი პოეტის დაბადების ოთხმოცდაათ წლისთავს.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი, აქვე იყვნენ კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები: სომხეთისა — კ. ს. დემირჭიანი, საქართველოსი — ჯ. ი. პატიაშვილი, აზერბაიჯანისა — კ. მ. ბაგიროვი, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, კულტურის მოღვაწენი.

საღამო გახსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ვ. ვ. კარპოვმა. მან თქვა, რომ ეღიშე ჩარენცი როგორც პოეტი და მოქალაქე შვა სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელიც იქცა მისთვის ცხოვრების არსად, შთაგონების ამოუწურავ წყაროდ.

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. ა. არზუმანიანმა, რომელმაც წარმოთქვა „სიტყვა ჩარენცზე“, მოკავშირე რესპუბლიკების წარმომგზავნილებმა დაახასიათეს პოეტის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის შემოქმედებითი გზა. ოქტომბრის ჯარისკაცი და მეხუთე ერთ საბრძოლო მწყობრში იდგა ამათთან ვინც უტიფლად ძველი სამყაროს სიმაგრეებს, საფუძველს უყრიდა ახალ, სოციალისტურ კულტურას. მისი პოეტური ლენინიანა რევოლუციის ბელადის შესახებ შექმნილ საოკეთესო ნაწარმოებთა გვერდით დგას. მოელენთა წვდომის მაშტაბურობითა და მოქალაქეობრივი მგზნებარებით გამოირჩევა მისი ლექსები და ბალადები, რომელთა შორის არის „ლენინი“, „ილიჩი და მე“ „ლენინი და ალი“.

მრავალ ჟანრში დატოვა ნათელი კვალი ჩარენცის დიდმა ნიჭმა. მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში შევიდა მისი პოემები „დანტეს ლეგენდა“, „გაშმაგებული ბრბო“, რომანი „ნარის ქვეყანა“, სხვა ნაწარმოებები, რომლებიც ითარგმნა სსრ კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე, გამოიცა საზღვარგარეთ. ჩარენცმა გაამდიდრა ეროვნული კულტურა პუშკინის, ნეკრასოვის, მაიაკოვსკის თარგმანებით.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ პოეტი-ტრიბუნის, პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის ნათელი სახე ახლობელია საბჭოთა ადამიანებისათვის მათს აღმშენებლობითს საქმიანობაში სოციალური პროგრესის ახალ მიჯნებზე. ღღესაც არ დაუკარგავს მის ნაწარმოებებს აქტუალურობა, ისინი გვეხმარებიან ჩვენი დღეების რევოლუციურ გარდაქმნათა გააზრებაში.

საღამო დასრულდა სომხეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტით. (**საკდესის კორ.**).

მოსკოვი.

ხ. პერეს დე კუელიარი ეწვია ზურაბ წერეთლის სახელოსნოს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ხავიერ პერეს დე კუელიარი, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება, 29 ივნისს მეუღლითურთ იყო სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ზურაბ წერეთლის მოსკოვის სახელოსნოში. მან დაათვალიერა ზ. წერეთლის ის ნამუშევრები, რომლებიც ხორცშესხმულია ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ, მხატვრის მომავალ ნაწარმოებთა ესკიზები, ფერწერული ტილოები.

— ამ სახელოსნოში შემთხვევით როდი მოვხვდი, — თქვა ხ. პერეს დე კუელიარმა ხელოვანთან საუბრისას. — 70-იან წლებში, როდესაც პერუს ელჩად ვიყავი წარმოგზავნილი სსრ კავშირში, დავინტერესდი თქვენი შემოქმედებით, რომელსაც დიდმა სიკეთოსმა მომავლის ხელოვნება უწოდა. მთელი ეს წლები თვალს ვადევნებდი თქვენს შემოქმედებას. მინახავს თქვენი ნამუშევრები ამერიკის ქალაქ ბროქპორტში. ყოველთვის დიდი კმაყოფილებით შევყურებ ხოლმე ეტიტრიდებს, რომლებითაც თქვენ დაამშვენეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობა. ხელოვნების მარადი ჰუმანიზმი, ადამიანთა და გულსა და გონებაზე მისი ზემოქმედების დიადი ძალა გამოსჭვივის ამ ნამუშევარში და ერთხელ კიდევ შეახსენებს ადამიანებს, რომ მშვიდობისა და პროგრესისათვის უნდა ვიბრძოლოთ, ვიბრძოლოთ გაერთიანებული ძალებით.

სპპტიო სტუმარმა განსაკუთრებული ინტერესით დაათვალიერა ზურაბ წერეთლის ფერწერული ტილოები, რომლებზეც აღბეჭდილია საქართველოს პეიზაჟები, სახელოვან ქართველ მამულიშვილთა პორტრეტები. ზოგიერთი მათგანი ხ. პერეს დე კუელიარმა იცნო ნახატებში, ვინაიდან თავის დროზე რამდენჯერმე ყოფილა საქართველოში. მან ძალზე გულთბილად გაიხსენა თბილისში, მცხეთაში ყოფნა, საქართველოს ძველ ხელოვნებასთან შეხვედრები.

საუბრისას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა, რომელიც მხარს უჭერს წინადადებებს ბირთვული იარაღის შემცირებისა და შემდგომი ლიკვიდაციის, მისი გამოცდის აკრძალვის, ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა სფეროებში სახელმწიფოთა კონსტრუქციული თანამშრომლობის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში პასუხსაგებ ყამს ჩამოვიდა

შანგაროდ და გულწრფელად

როგორ გამოეხმაურა საბჭოთა ხალხი უგიდურებას, რომელიც თავს დაატყდა საქართველოს

საქართველოში კვლავ აბობოქრდნენ ბუნების ბრმა ძალები. შუა თებერვლისათვის თითქოს ყველაფერი დაშშვიდდა, მაგრამ მაისის ბოლოს საშინელმა გრიგალმა გადაუარა მთელ შავიზღვისპირეთს. შემდეგ გადაუღებელი და კოკისპირული წვიმები დაიწყო.

ზაფხულის პირველი დღე უკანასკნელი აღმოჩნდა სოფელ ჩოხელთისათვის. მთელი საქართველო შეაძრწუნა ტრაგედიამ, რომელიც ფშავ-ხევსურეთში დატრიალდა საქართველოს სამხედრო გზის მახლობლად. ეს ამბავი ღამის სამ საათზე მოხდა, როცა ჩოხელთელებს მშვიდად ეძინათ. მთის უზარმაზარი ფენა, წყლით გაჟიღნილი, 2.200 მეტრი სიმაღლიდან მოწყდა, თავქვე დაქანდა და მოვარდნილმა ღვარცოფმა რვა სახლი წაიღო, თხუთმეტი კი ტალახით ამოავსო. თავზარდამცემი გუგუნ-გრუნუნით გაღვიძებული ხალხი ლამის შიშველ-ტიტველი გამოცვივდა კოკისპირულ წვიმაში.

მაგრამ, მაინც, ყველაზე რთული და სახიფათო მდგომარეობა კვლავინდებურად დასავლეთ საქართველოშია. აზვირთდა ცხენისწყალი, რიონის მთავარი შენაკადი, და ქვეყნიერებას მოსწყდა ლენტეხი — ქვემო სვანეთის რაიონული ცენტრი. მდინარემ წაიღეკა სოფელ ხოფურის 14 სახლი, 4 კაცი დაიღუპა.

— დაიქანება ხალხი, — გვითხრა პარტიის ლენტეხის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ტოტორიავამ, როცა ხოფურში გულბანების სახლს, უფრო სწორედ, იმას ვათვალიერებდით, რაც შემორჩა, — კარ-ფანჯარა ამოცვენილ კედელს. ბოსტანში ამღვრეულ ტალღებს მიაგორებდა ცხენისწყალი. — ექვსი თვეა მძვინვარებს სტიქია, — განაგრძო ა. ტოტორიავამ. — იანვარში დაიწყო და ბოლო აღარ უჩანს: ჯერ ზვავი, მერე წყალდიდობა, მერე კიდევ მეწყერები, ახლა ღვარცოფი გვემუქრება — ეს კი კიდეგ უფრო საშიშია...

მთელი ლენტეხი დღე-ღამ მუშაობს: წმენდენ ქალაპოტს, ამაგრებენ ნაპირებს, უსაფრთხო ადგილებში ხიზნავენ ხალხს. როგორც მოგახსენეთ, ეს დაბა ქვემო სვანეთის ადმინისტრაციული ცენტრია. სვანეთი ხომ სულ ორი რაიონია — ლენტეხის და მესტიისა. პირველში 14,5 ათასი კაცი ცხოვრობს, მეორეში — 18 ათასი. პატარა, მაგრამ ქედუდრეკი ტომია, არწივების შთამომავალი.

ქართველი კაცისთვის სვანი მარტო ღვიძლი ძმა კი არა, ერთგულების, უანგარობის, რინდობის, ვაჟკაცობისა და უსაზღვრო მამაცობის განსახიერებაა. და როდესაც ამ ზამთარს რამდენიმე ასეული სვანის ოჯახი უსახლკაროდ დარჩა, მთელი საქართველო მხარში ამოუდგა. სვანებს უთმობდნენ ბინებს, რომლებსაც ხალხი წლობით ელოდებოდა, ჩუქნიდნენ ნივთებს: თბილი წინდებითა თუ ხელთათმანებით დაწყებული და ავეჯით დამთავრებული. და ბოლოს, შეიქმნა ფულადი შეწირულების ფონდი, რომელსაც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკში გამოეყო ანგარიში, დღეს უკვე მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილი — № 000700024. 10 ივნისისათვის ფონდის თანხამ 55 მილიონ მანეთს გადააჭარბა. აქედან 31,4 მილიონი საქართველოში შეგროვდა, დანარჩენი მთელი საბჭოთიდან მოვიდა.

ჩვეული უანგარობა და ხელგაშლილობა გამოიჩინეს ქართველებმა, ეს სავსებით გასაგებია და დიდი ახსნა-განმარტება არ სჭირდება. სტანიცა სტარო-სალტოვსკაიას მცხოვრებმა ვ. ლისაჩენკომ უზარმაზარი თანხა გამოგზავნა — ოთხი ათასი მანეთი. ათას-ათასი მანეთი გამოგზავნეს ნოვოსიბირსკელმა ზ. კონდრატიევამ, მოსკოველებმა ა. აეერინმა და ე. არმანტმა, მინსკელმა ა. დუდარევმა. ამ ოჯახების უშუალოდ არაფერი აკავშირებს: ამერკაკკასიასთან, მათი სახლებიდან უბედურების რაიონებამდე ათასობით კილომეტრია. მაგრამ არსებობს სხვა რაღაც, რაც ყოველი კაცის გულში ღვივის და აიძულებს მხარში ამოუდგეს გაჭირვებულს ეროვნების მიუხედავად. ამ გრძნობას ადამიანობა ჰქვია.

მე მარტო ისინი ჩამოვთვალე, ვინც განსაკუთრებით დიდი ფული გაიღო. სამწუხაროდ, გვარების გარდა, რომლებიც საქართველოს სახბანკში გამაცნეს, ამ ხალხზე სხვა არაფერი ვიცი. შეიძლება ხელიც კი არ მოეწერათ, გზავნილის გაფორმების წესი რომ არ მოითხოვდეს. მათ ყოველად უანგაროდ შეეტანეს ეს წვლილი. თორემ 35 მანეთი, რომელიც რაისა მიხეილის ასულმა სერგეევამ ბაშკირეთის ქალაქ ბელებეიდან გამოგზავნა და მისი პენსიის ზუტად ნახევარს შეადგენს, ან ა. გალუშკოს 15 მანეთი, რომელიც, როგორც დეპეშაშია ნათქვამი, დონორის სისხლის ჩაბარებით მიუღია, განა ნაკლებად ფასობს, ვიდრე ის დიდი თანხა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ? ზოგს სამი მანეთი გამოუგზავნია, ზოგს — მანეთიც... ვინც რამდენი შეძლო.

კაცთმოყვარეობის გრძნობა მარტო ფულით არ გამოვლენილა, თუმცა არც ეს არის ცოტა რამ. საქართველოში უამრავი ამანათი მოვიდა, რესპუბლიკის შრომის კომიტეტში მოზრდილ საქალაღდეში დასტებად აწყვია წერილები, რომლებშიც სთავაზობენ, ჩამოვალთ და სტიქიით დაზარალებულს ავაშენებთო. „მე საქართველოში ვმსახურობდი, მინდა დავეხმარო თქვენს ხალხს“, — წერს ტამბოვიდან შოფერი ნიკოლოზ ოკოლელოვი. „ჩემი, როგორც კომკავშირელის, ვალია ჩემი შრომით დაგეხმაროთ ჭირში“, — ამას კიეველი ოლგა გერბენკო წერს. „ჩვენ ერთ ქვეყანაში ვცხოვრობთ და მოვალენი ვართ ძმურად გავიზიაროთ ჭირიც და ლხინიც, — ამბობს სერპუხოველი ბულდოზერისტი ვასილ კრასნობაევი. — მე, ოჯახის პატრონი ვარ, ორი შვილი მყავს. მინდა, რომ მათი შვილებიც კვლავ დაბინავდნენ და კარგად მოეწყონ. თუ საჭიროა, გთხოვთ, სტიქიური უბედურების რაიონში გამგზავნოთ“.

„ჩამოვიდნენ ჩემთან, — წერს ორენბურგელი პენსიონერი მარიამ გრიგოლის ასული ჩებოდაევა. — უკვე დაცოლშეილებული ბიჭები მყავს, ძალიანაც მიხარია, მაგრამ იმ ოჯახს, რომელსაც უბედურება დაატყდა თავს, ახლობელივით შევიფარებ“.

ცალკე საქალაღდეა გამოყოფილი იმ წერილებისთვის, რომლებშიც ჭერს სთავაზობენ, ზოგი კი მზად არის მთელი სახლიც დაუთმოს. კიდევ ერთი საქალაღდეა იმათი წერილებისთვის, ვინც მზად არის ობლები იშვილოს.

— ჩვენ ჩვენი შვილები გვყავს, — ორი ბიჭი და ერთი გოგონა, მაგრამ სხვისი უბედურებისადმი ყრუნი ვერ დავრჩებით, — წერს ბელაია ცერკოვიდან ირინე ტრილი. — ჩვენს ოჯახში ობოლი გაჩენილებით უკვე ოგრძნობს თავს ვიდრე ბავშვთა სახლში. ჰოდა სადაც სამი გვყავს, მეოთხესაც არაფერს გავუჭირვებთ“.

აი, ასეთი წერილებია. შრომის კომიტეტიდან ყველას ცალ-ცალკე უგზავნიან სამადლობელ წერილებს, მაგრამ... უარს კი ეუბნებიან. რესპუბლიკაში მუშაული არ ჭირს, მართალია დროებით, მაგრამ ყველა დაზარალებული დაბინავებულია, ობლებს ნათესავები ჰყავთ, ნათესაობა კი საქართველოში კარგი იციან. ასე რომ, არც ერთი ბავშვი არ დარჩება უყურადღებოდ და უსიყვარულოდ. მაგრამ იმისათვის, რომ ხმა მოგვაწვდინეს, იმისათვის, რომ მზად არიან ძმურად გაიზიარონ საქართველოს თავზე დატეხილი უბედურება, ყველა ჩემი თანამემამულის სახელით დიდი მადლობა მომიხსენებია! დარწმუნებული ვარ, მადლიერების გრძნობა, რომელსაც ამჟამად განიცდის ყოველი ქართველი, თაობიდან თაობას გადაეცემა, რადგან ასეთ რამეს საუკუნეებით არ ივიწყებენ. და მაინც, ეტყობა, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ყველაზე მეტი გზავნილი უკრაინიდან მოვიდა — იქ ჯერაც არ მოშშეშებიათ ჩერნობილის ჭირლობა. სხვისი ჭირი ყოველთვის უფრო გასაგებია იმისთვის, ვისაც თვითონ გამოუცდია, საკეთილ სიკეთით გადახდა კი ყველა ჩვენგანის ვალია.

რატომღაც გულმოწყალეობაც და ქველმოქმედებაც, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობის ფორმები, ჩვენს დროში მიივიწყეს. ალბათ იმიტომ, რომ იგი მთლიანად შეცვალა სოციალურმა დაზღვევამ და უზრუნველყოფამ, რომლის ბადალი მსოფლიოში არსად მოიპოვება. ახლა ეს მილიონები რომ არ შეეგროვებინათ, დაზარალებულნი მაინც არ დარჩებოდნენ უსახლკაროდ და ბედის ანაბარად — სახელმწიფო მაინც იზრუნებდა მათთვის. მახსოვს, წინასწარი გამოანგარიშებით ზარალის თანხამ 500 მილიონს გადააჭარბა, და მის ასანაზღაურებლად საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ უკვე გამოყო დაახლოებით 300 მილიონი. როგორც ხედავთ, ციფრებს ერთმანეთს ვერც კი შეადარებ. მაგრამ ხალხის ქველმოქმედების აზრი მარტო ის კი არ არის, რომ ზარალის რაღაც ნაწილი აანაზღაუროს, არამედ უწინარეს ყოვლისა ის, რომ „კეთილმან სძლია ბოროტსა“.

ახლა ჩვენი მწერლები და პუბლიცისტები ხშირად ღაღადებენ, ჩვენს საზოგადოებას გულმოწყალება აკლიაო, ყოველნაირად ცდილობენ გრძნობები გაუღვიძონ და გულში სიკეთე ჩაუნერგონ ადამიანებს. მაგრამ არა, გულმოწყალება, როგორც ადამიანის თვისება, სრულიადაც არ დაშრეტილა, არც გული გაგვქვავებია. უბრალოდ, ხშირად ჭირს ხოლმე გრძნობების გამომქღავნება. ღმერთმა ნუ ქნას ჩერნობილისნაირი უბედურების გამეორება, მაგრამ სტიქიური უბედურებისაგან არავინ არის დაზღვეული. მერედა, წყალდიდობის, მიწისძვრისა და ბუნების სხვა დამანგრეველი ძალების გამოვლინების გარდა განა სხვა არაფერი გვეჭირს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში? ვაი, რომ ჯერ კიდევ ბევრ ჩვენს თანამოქალაქეს ძალზე სჭირდება გულმოწყალეობაც და ქველმოქმედებაც: მარტოხელა, უმწეო მოხუცები, ინვალიდები, ბავშვთა სახლებისა და ღრმად მოხუცებულთა სახლების ბინადარნი, წვრილშვილიანი ოჯახები... დახმარება, რომელსაც მათ უწევენ ენთუზიასტები, ზოგჯერ უმნიშვნელოა და ამაზე სერიოზულად ლაპარაკი იქნება არც ღირდეს. მაგრამ ამავე დროს ძალიან ბევრს გულითხსწყურია, სიკეთე დათესოს, მაგრამ ეს წყურვილი ხორცშეუსხმელი რჩება, რადგან ამ ადამიანებმა უბრალოდ არ იციან, რა და როგორ ქნან.

ახლა კი მინდა ვაცნობო ყველას, ვინც თუნდაც მანეთი გაიღო საქართველოში სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად, თუ რას ხმარდება ეს ფული.

თანხის დიდი ნაწილი — თხუთმეტი მილიონი მანეთი — საქაგრომშენს გადაეცა იმ სახლებისათვის საშენი მასალის ასანაზღაურებლად, რომლებსაც ახლა მეგრგან აშენებენ. მშენებლობის გაფართოების კვალობაზე მასვე გადაეცემა კიდევ ახალი თანხა. გასავლის მეორე ნაწილია დახმარება დაზარალებულ ოჯახებს, რომელსაც რაიალმასკომები გასცემენ ადგილებზე, — საამისოდ უკვე გამოყოფილია შვიდი მილიონი მანეთი. აქედან 1.612 ათასი მანეთი — მესტიელებს, 645 ათასი — ლენტეხელებს და 1.364 ათასი მანეთი — ხობის რაიონის მცხოვრებთ, სადაც საშინელი წყალდიდობა მოხდა.

ამქვეყნად ყველაფერს ბოლო აქვს... ეს უბედურებაც გაივლის, ჭირლობები მოშშედება. მაგრამ სამარადისოდ და წარუვალად რჩება ის, რაც მარად ასულდგმულებდა და ასულდგმულებს კაცთა მოდგმას, — ერთმანეთის სიყვარული და მხარში ამოდგმა.

ვ. ქაჯაია,

ახალი ამბების სააგენტოს საკ. კორ. სპეციალურად „იზვესტიისათვის“.

„იზვესტია“. 1987 წ. 29. VI.

ყაბაჯი

მოდით, თბილისელებმა, დავეხმაროთ ამ მატჩს!

მოდით, მართლაც, წავიდეთ დღეს სტადიონზე და დავესწროთ თბილისს „დინამოს“ და ვილნიუსს „ჟალგირისს“ შეხვედრას.

თქვენ ამბობთ, რომ თბილისს „დინამო“ არ იმსახურებს ჩვენგან ასეთ პატივს?

მართალი ბრძანებაა, მაგრამ რაგინდ უიღბლოც უნდა იყოს, მაინც ჩვენია, რა უნებისყოფოც უნდა იყოს, მაინც რესპუბლიკის მთავარი გუნდია.

კიდევ ერთხელ ვცადოთ გაჭირვებისას გვერდით დავუდგეთ, გულმხურვალედ გამოვეკომაგოთ სტადიონზე, ირგვლივ ნაღდი გულშემატკივრობის ატმოსფერო შევქმნათ.

გავიხსენოთ, სულ ახლახანს რა შეაძლებინა ბერძენმა მაყურებელმა საკუთარ კალათბურთელთა გუნდს, რომელსაც ევროპის საკალათბურთო ელიტაში დაახლოებით ისეთივე ადგილი ეკავა, როგორიც თბილისს „დინამოს“ წლევანდელ საკავშირო გათამაშებაში, დღეს კი ევროპის ჩემპიონია.

ეს შედარება მასშტაბის თვალსაზრისით თუ არის პირობითი, თორემ არსებითად მართებულია.

ბოლო ხანს ბევრი რამ ნაკლულობა დაჩნდა ქართველი სპორტის მოყვარულის გულს — „გეორია“ ცდილობს, მაგრამ ბედი არ სწყალობს, განა „ჟალგირისთან“ მატჩი წასაგები ჰქონდა? ჩვენი ხელბურთელი ვაჟები, საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონები, დღეს ბოლოსწინანი არიან; საქვეყნოდ მოგვჭრეს თავი რეგბისტებმა!

როდისღა გავიხაროთ?

იქნებ დღეს?!

იყოს დღეს ტრიბუნებზე ახალგაზრდობა, „დინამოს“ თეორიცისფერი ალმები, შეძახილი და ერთსულოვნება.

გ. გიორგაძე.

სატურნირო ორბიტა

ბაღდადი. ესპანეთის ქალაქ ბილბაოში დამთავრდა ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც ორი მოჭადრაკე ქალიც მონაწილეობდა. აქ ადგილები ასე განაწილდა: 1. ა. კარპოვი — 7 ქულა (9 შესაძლებლიდან), 2. უ. ანდერსონი (შვეცია) — 6,5, 3. მაია ჩიბურდანიძე — 5,5, 4. ლ. ლუბოეიჩი (იუგოსლავია) — 5,5, 5-6. ა. სოკოლოვი და ფუჟა პოლგარიც (უნგრეთი) — 4,5-4,5... აღსანიშნავია, რომ მაია ჩიბურდანიძეს ამ საკმაოდ ძლიერი შემადგენლობის ტურნირში ერთი პარტიაც არ წაუგია და მესამე საპრიზო ადგილს დაეუფლა.

იუგოსლავიის ქალაქ სუბოტიცაში კი გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა შორის მსოფლიო პირველობის საზონათშორისო შეჯიბრება. გთავაზობთ მორიგი ტურების შედეგებს. V **ტური.** ზაპატა-როდრიგესი — 1:0, რიბლი-ქსუ — 1:0, შორტი-სმისლოვი — 1:0, მარიანოვიჩი-ერნსტი — 1:0, ჩერნინი-სპილმენი — 0:1, პრასადი-საქსი — 0:1. დაზავდნენ ტალი და ალბურტი, პოპოვიჩ-კავალეკის პარტია კი გადაიდო; VI **ტური.** საქსი-მარიანოვიჩი — 1:0, სმისლოვი-პრასადი — 1:0, ქსუ-ჩერნინი — 1:0, ერნსტი-პოპოვიჩი — 1:0, ალბურტი-რიბლი — 0:1. დაზავდნენ სპილენ-შორტი და როდრიგეს-ტალი. ჰამტზაპატას პარტია გადაიდო. მეშვიდე ტურში თავიანთ აქტივს ითვლიან ქალაქ შემატეს სპილენმა, შორტმა, კავალეკმა, პოპოვიჩმა, ტალმა და ჩერნინმა. ნახევარ-ნახევარი ქულა მოიპოვეს სმისლოვმა, მარიანოვიჩმა, რიბლიმ და როდრიგესმა. 7 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: სპილენი — 5,5 ქულა, ტალი და შორტი — 5-5, საქსი და რიბლი — 4,5-4,5 ქულა.

ბალეარიზა. პრაღაში გამართულ ევროპის თასის გათამაშებაში საბჭოთა ნაკრების ღირსებას იცავდა თბილისელი მაია აზარაშვილიც. მან 200 მეტრზე რბენაში იასპარეზი და მეხუთე ადგილზე გამოვიდა — 22,88.

ფეხბურთი. პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის 19 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეულში არიან ოდესის „ჩერნომორეცი“— 31 ქულა, მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 25 და რიგის „დაუგავა“ — 24. ბათუმის „დინამოს“ და ქუთაისის „ტორპედოს“ 14-14 ქულა აქვთ და გათამაშების ცხრილში შესაბამისად მეცხრამეტე და ოცდამეერთე ადგილები უკავიათ.

ტყიბული ფესტივალს უმასპინძლებს

იუმორი ქართველი კაცის ოდითგან დამახასიათებელი თვისებაა. მახვილი, ფრთიანი სიტყვა მისი ცხოვრების თანამგზავრი იყო და არის.

ქართულ ესტრადასაც ყოველთვის უზვად ჰყავდა იუმორისა და სატირის დიდოსტატები, რომელთა გახსენება დღესაც სიამოვნების ღიმილსა ჰგვრის ესტრადის მოყვარულთ და გულშემატკივართ. სამწუხაროდ, კარგა ხანია ერთგვარად იკლო ესტრადით მოლაპარაკე ჟანრის მსახიობთა გატაცებამ, ახალგაზრდა კადრების ნაკლებობაც იგრძნობა. მაყურებელთა დაინტერესებაც საგრძნობლად შემცირდა. ამას მრავალი მიზეზი აქვს. მრავალთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი ეროხანს დამკვიდრებული ცხოვრებისეული სიმართლის შელამაზების ცდა, მისი შეფერადებული წარმოდგენა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში, რაც ყველაზე მეტად სწორედ სატირისა და იუმორის განვითარებას აფერხებდა.

ბოლო დროს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული საკაროობის, ნაკლოვანებათა გულწრფელად მხილების, გულახდილობის ფართოდ დამკვიდრების მიუხედავად, ესტრადაზე ძველი რეციდივები ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა. უფრო მეტიც, ყველაზე მეტად ჯერ სწორედ ესტრადაზე იგრძნობა ძველის გადმონაშთები, სიფრთხილე, ზოგჯერ კი აშკარა შიში — ზედმეტი არაფერი წამოსცდეთ ჩვენი ცხოვრების ნაკლოვან მხარეებზე. კვლავ მეფობს წვრილმანთემიანობა.

საესტრადო ხელოვნების ახლებურად გარდაქმნას ისახავს მიზნად სატირისა და იუმორის პირველი რესპუბლიკური ფესტივალი, რომელიც ქ. ტყიბულში იმართება 1-5 ივლისს და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს ეძღვნება. ფესტივალის ორგანიზატორები არიან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, თეატრალურ მოღვაწეთა კავშირი, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს პროფსაბჭოს კავშირთშორისო თვითმოქმედების რესპუბლიკური ცენტრი და ჟურნალ „ნიანგის“ redakcia საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან ერთად.

სიამოვნებით უნდა ითქვას, რომ ქალაქ ტყიბულის პარტიულმა და სახელმწიფო ორგანოებმა, ხელმძღვანელმა მუშაკებმა თავიდანვე დიდი დაინტერესებით მიიღეს ეს აზრი და ყველაფერი იღონეს, რათა ფესტივალმა მაღალ დონეზე ჩაიაროს. ორგანიზაციული მხარე მაღალ დონეზეა, ახლა უკვე სტუდია ქართული სცენისა და ესტრადის მსახიობებზეა. ამ ფესტივალში კი მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკაში ცნობილი მსახიობები, მხატვრული კითხვის, სატირისა და იუმორის ცნობილი ოსტატები. ფესტივალის მშვენება იქნება ესტრადის უხუცესი მსახიობი, ყველასათვის საყვარელი ოლღა დოლიძე, რომელმაც ჯერ კიდევ 1939 წელს ესტრადის მსახიობთა პირველ საკავშირო კონკურსზე დაიმსახურა პრემია არაჯადი რაიკინთან და ვასო გოძიაშვილთან ერთად. სასიამოვნოა, რომ ვეტერანი მსახიობი გამოვა განსაკუთრებული პროგრამით, რომელიც ეხმაურება საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის დღევანდელ მოთხოვნებს.

ტყიბულში გამოვლენ ჩვენი სცენის აღიარებული ოსტატებიც და ახალბედა მსახიობებიც. მაყურებლები შეხვდებიან ესტრადის ცნობილ ოსტატებს გ. საღაროძეს, თ. ჩანტლაძეს, ქ. კასრაძეს, გ. ბერიკაშვილს, ლ. ანთაძეს, შ. ლორთქიფანიძეს, დ. ხელორდავას, ი. როსტომაშვილს და სხვებს. მათ გვერდით იქნებიან ახალგაზრდა მსახიობები, მოლაპარაკე და ორიგინალური ჟანრის მსახიობთა უკანასკნელი საკავშირო კონკურსების ლაურეატები ი. ირემაშვილი და მ. კვირიკაშვილი, ცნობილი პაროდისტები გ. გეგეჭკორი და ბ. მახარაძე, რომელთა შეყვარება უკვე მოასწრო ქართველმა მაყურებელმა, სრულიად ახალგაზრდა შემოქმედები ლ. ლობჟანიძილი, ი. ბენდელიანი, ჯ. მაყაშვილი და სხვები.

ფესტივალის დღეებში ტყიბულში გამოვლენ თვითმოქმედი ჯგუფები და ახალბედები. ისინი ფაქტობრივად პირველად წარდგებიან პროფესიულ სცენაზე.

იმედია, სატირისა და იუმორის პირველი რესპუბლიკური ფესტივალი წარმატებით ჩაივლის და ტრადიციულიც გახდება.

ვ. გოგოლაშვილი,

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ლიტერატურული ნაწილის გამგე.

მთავარია პროფილაქტიკა

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებულ IV მთავარ სამმართველომ მოწყობილ-ლიკანის საკონფერენციო დარბაზში მოაწყო მეწუთე საიუბილეო-სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, რომლის თემაა მწვავე დაავადების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა. მასში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის წამყვანი სპეციალისტები და პრაქტიკოსი ექიმები.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა ჩვენი პარტიისა და მთავრობის უპირველესი საზრუნავია. ამ მხრივ მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული დარგში. მთელი კოლექტივი, მისი სამკურნალო დაწესებულებები ბევრ რამეს აკეთებენ ადამიანის ჯანმრთელობისათვის. აქაური მედიკოსნი შუაკაცი მთელ თავიანთ საქმიანობას მიმართავენ პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ცხადია, მიღწეული საკმარისი არ არის. გათვალისწინებულია კეთილმოწყობილ სამკურნალო დაწესებულებებს დაემატოს ახალი, დროზე ჩაბარდეს ისინი. კონფერენციაზე აღინიშნა აგრეთვე, რომ დიდი ყურადღება ექცევა სამედიცინო კადრებს შორის ალმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას, რათა ამაღლდეს მათი, როგორც მკურნალის, ცოდნის დონეც და გაძლიერდეს პირადი პასუხისმგებლობა, რათა შეძლოს პროფესიული და მოქალაქეობრივი ვალის მოხდა. სამმართველოს კოლექტივი მიზნად ისახავს ნეგატიური მოვლენების, უგულისყურობის, ავადმყოფობისადმი უსულგულო დამოკიდებულების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას. დიდი ყურადღება დაეთმო დაავადებათა პროფილაქტიკის, მოსახლეობის დისპანსერიზაციის მაღალ დონეზე დაყენების, დაავადებათა დროული გამოვლინების საკითხებს.

კონფერენციამ განიხილა მეცნიერული საკითხები. საქართველოს და მოძმე რესპუბლიკების მეცნიერმა თანამშრომლებმა წარმოადგინეს მოხსენებები.

უწინარესად ყურადღება დაეთმო მოოკარდის ინფარქტის პრობლემებს, გულისსისხლძარღვთა მწვავე დაავადებებს, ფილტვისა და სასუნთქი გზების მწვავე ანთებებსა და მთელ რიგ სხვა მწვავე ავადმყოფობებს. პოლიკლინიკის ექიმის მიერ მწვავე დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კლინიკურ-ორგანიზაციულ საკითხებს, მრავალ პრაქტიკულ პრობლემას.

ნ. ნუცუბიძე.

ხალხური ტალანტების წყარო

„ლურჯი ფრინველი“ ჩაეწერა... თბილისში

თბილისის პროფკავშირების კულტურის სახლში გახსნილი გამოფენის დამთვალიერებელთა უმრავლესობა ქალია. თუმცა, აქ მოხვედრილი მამაკაცებიც გულგრილი როდი რჩებიან. ტანსაცმლის დეკორატიული დეტალები, სამკაულები, ხელსახოცები, ხალიჩები, სხვა საოჯახო ნივთები, რომლებიც ექსპოზიციაშია წარმოდგენილი, ხელოვნების ნამდვილი ნიმუშებია.

ისინი დაამზადეს კულტურის სასახლესთან მოქმედი ქალთა კლუბის „ლურჯი ფრინველის“ ხელმარჯვე ოსტატებმა. ეს, ალბათ, რესპუბლიკაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი არაფორმალური გაერთიანებაა. მის წევრად ამაყად თვლის თავს 14-დან 75 წლამდე ასაკის 400-ზე მეტი ქალი. თითოეულმა მათგანმა დაამთავრა მხატვრული ქსოვის სტუდია, რომელიც აქ მრავალი წელია მოქმედებს. სწორედ მან მისცა დასაბამი „ლურჯ ფრინველს“. სწავლის დამთავრების შემდეგ პირველმა „კურსდამთავრებულებმა“ არ მოისურვეს ერთმანეთთან და საყვარელ საქმესთან განშორება და გაერთიანდნენ კლუბში, რომელიც მას შემდეგ ნიადაგ ივსება. კლუბს ხელმძღვანელობს მხატვრული ხელსაქმის აღიარებული ოსტატი ე. უშვერიძე.

— შემთხვევით როდი ვუწოდეთ ჩვენს კლუბს „ლურჯი ფრინველი“, რომელიც, როგორც ცნობილია, ბედნიერების სიმბოლოა, — თქვა მან. — ჩვენ ხომ, გაუზვიადებლად რომ ვთქვათ, საკუთარი თავი ვიპოვეთ კლუბში. აბა, სხვაგვარად რით ავხსნით იმ გატაცებას, რომლითაც აქ მუშაობენ ერთმანეთის მხარდამხარ სრულიად განსხვავებული ადამიანები? შეხედეთ, როგორი გემოვნებით, ოსტატურით არის შესრულებული გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები. მრავალი მათგანი ერთთბლიანი შემოქმედების ნაყოფია. ეს ნაქსოი კაბა, მაგალითად, კლუბის სამი წევრის „თანაავტორობით“ არის შექმნილი.

ექსპოზიციაზე შეიძლება ვნახოთ ტრადიციული ქართული ფარდაგების ნიმუშები. ძველი, დროისაგან გაცრეცილები მოიტანეს ისინი აქ საქართველოს ხელოვნების მუზეუმიდან, სთხოვეს კლუბის წევრებს მათი აღდგენა. და მარჯვე ხელებმა გარდაქმნეს ხალიჩები.

ზოგიერთი ექსპონატი მალე გაგზავნება მოსკოვში გამოფენაზე, რომელიც „აიმართება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ხალხური შემოქმედების მეორე საკავშირო ფესტივალის ფარგლებში.

ელადის მეღლოდიები

კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სახლში ეოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლებმა „სირტაკმა“, „აკროპოლისმა“, „პონტიაკოსმა“ შეასრულეს ელადის სიმღერები, ცეკვლოვან ფერხულს უვლიდნენ ბავშვთა და ახალგაზრდათა ქორეოგრაფიული ანსამბლები. ქალიშვილებს ხალხური ცეკვის ანაბანას ასწავლის ცნობილი მუსიკოსი და ქორეოგრაფი ირაკლი პაპუნიდი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს გვარი იმ დღეს სცენაზე კიდევ ერთხელ გამოაცხადეს. ახალგაზრდა ეკონომისტმა ირაოს პაპუნიდიმ მამისაგან მემკვიდრეობით მიიღო მუსიკის სიყვარული. იგი არის სართავი ფაბრიკის კულტურის სახლთან ამას წინათ შექმნილ ანსამბლ „პონტიაკოსში“ ხალხური საკრავის ბუზუკის სოლისტ-შემასრულებელი. მის შემადგენლობაში შედიან სტუდენტები, ტექნიკუმების მოსწავლეები, სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები, რომლებსაც აერთიანებთ ხალხური მუსიკის, სიმღერის სიყვარული.

თბილისის, რუსთავის, წალკის, თეთრი წყაროს რაიონის თვითმოქმედი კოლექტივების მუსიკალური ანგარიშით დაიწყო ბერძნული კოლექტივების შემოქმედებითი დათვალიერება, რომელიც მოაწყვეს საქართველოს პროფსაბჭომ და რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ.

რა იმალება მიწის წიაღში

თბილისიდან ბოლნისის რაიონში გაემგზავრნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის სპეციალისტთა ექსპედიციები. მეცნიერები გამოიკვლევენ ამიერკავკასიის ამ რეგიონში დაახლოებით ასი მილიონი წლის წინათ ვულკანური მოქმედების შედეგად წარმოქმნილ მთის ქანებს.

— მრავალგვარი წიაღისეულის, ძვირფასი მინერალური ნედლეულის წარმოქმნა დაკავშირებულია ვულკანებთან, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ შ. ადამიამ. — მაგალითად, ასი მილიონი წლის წინათ ბოლნისის რაიონი ზღვის ქვეშ იყო, რომლის ფსკერზე ვულკანი მოქმედებდა. ამოფრქვეული ლავის პროდუქტებისაგან წარმოიქმნა ამჟამად სახელგანთქმული მადნეულის სპილენძისა და პოლიმეტალების მადნები.

მიმდინარე სეზონში მრავალი ექსპედიცია განაგრძობს მუშაობას ყაზბეგის მიდამოებში, მდინარე ქსნის სათავეში, სადაც ოდესღაც ჩამქრალი ვულკანის კრატერის ადგილას ახლა მაღალმთიანი ყელის ტბაა. მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის საინტერესოა გეოლოგების მიერ ბაკურიანბორჯომის ზონისა და მესხეთ-ჯავახეთის რაიონებში გაკვალული მარშრუტები.

სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან ერთად განხორციელებული გამოკვლევების ამოცანაა დედამიწის ქერქის განვითარების ისტორიის მონაცემების საფუძველზე აღმოაჩინონ კავკასიაში სასარგებლო წიაღისეულის ახალი საბადოები, დააზუსტონ რაიონები, სადაც ჯერ კიდევ გრძელდება დედამიწის ქერქის ჩამოყალიბების პროცესები. (**საქინფორმი**).

სურათზე: რაჰიბ მამედოვის ძეგლის გახსნა.
ფ. ხანირულინის ტელეფოტო (აზერინფორმ-საქინფორმი).

რაჰიბ მამედოვის ხსოვნისათვის

საქართველოდან ჩამოტანილი ოცდარვა ნაძვი დარგეს აზერბაიჯანის სოფელ მახრიზში. ისინი დარგეს რაჰიბ მამედოვის აქ გახსნილ ძეგლთან, რომელმაც სიცოცხლე შესწირა ხალხის გადარჩენას საქართველოში ამ ზამთარს მომხდარი სტიქიური უბედურების დროს.

პირველი ნერგი დარგო თამრიკო ბუკიამ — ჭალადიდელმა მოსწავლემ.

— იმ დღეს მშობლებთან და უმცროს დასთან ერთად შინ ვიყავი, — თქვა მან. — ყველა ძალიან შეშინებული ვიყავით. უეცრად გაისმა ძმიმე მანქანის ძრავის გუგუნი. სახლში შემოიჭრა ახ